საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის ბრძანება №227

2009 წლის 22 აპრილი

ქ. თბილისი

სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს:

ა) სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულება (დანართი №1);

ბ) სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესი (დანართი №2).

გ) 2019-2020 სასწავლო წელს საერთო სამაგისტრო გამოცდების მიზნებისთვის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის ცხრილი (დანართი №3).

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 ივლისის ბრძანება №157/ნ - ვებგვერდი, 01.08.2019წ.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნ. გვარამია

დანართი №1

სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

1. ეს დებულება არეგულირებს სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წესსა და პირობებს, აგრეთვე სამაგისტრო გამოცდის ჩატარების ორგანიზაციულ საკითხებს.

2. ამ დებულების მოქმედება ვრცელდება:

ა) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე;

ბ) იმ მაგისტრანტობის კანდიდატებზე, რომლებსაც სურთ სწავლის გაგრძელება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაწესებულებების მაგისტრატურაში, გარდა მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო, სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრატურისა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ ნ - ვებგვერდი , 24.02.2011წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ ნ - ვებგვერდი , 29.03.2013წ .

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულების მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;

ბ) (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ);

გ) ტესტი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილი ტესტური დავალებები და პასუხების ფურცელი, რომელიც კონფიდენციალურია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.naec.ge) გამოქვეყნებამდე;

დ) დაშიფვრის ინდივიდუალური სისტემა - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი კოდირების სისტემა;

ე) მაქსიმალური ქულა – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეული ნაწილისათვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მის

მიერ განსაზღვრული გამოცდისთვის/ გამოცდებისთვის მინიჭებული შესაძლო უმაღლესი ქულა;

ე[1]) გათანაბრებული ქულა – საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეულ ნაწილში მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ მიღებულ ქულასა და ტესტის ყველა დანარჩენი ვარიანტის შესაბამის ნაწილში მასთან გაიგივებულ ქულებს შორის უდიდესი.

ე[2]) გაიგივებული ქულები – ტესტის სხვადასხვა ვარიანტის შესაბამის ნაწილებში მიღებული ისეთი ქულები, რომელთა პროცენტული რანგები ერთმანეთის ტოლია;

ვ) ნორმირებული ქულა – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვის მიზნით, ამ დებულებით დადგენილი წესით, საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეულ ნაწილში მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ მიღებული გათანაბრებული ქულის, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ მიღებული ქულის შესაბამისი გამოცდის ტესტის ნაწილის/გამოცდის მაქსიმალურ ქულაზე გაყოფის შედეგად მიღებული ქულა;

ზ) კონკრეტული ქულა – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვის მიზნით, ამ დებულებით დადგენილი წესით მიღებული ნორმირებული ქულის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სამაგისტრო გამოცდისთვის ან/ და ტესტის ნაწილებისთვის დადგენილ კოეფიციენტზე გამრავლების შედეგად მიღებული ქულა;

ზ[1]) (ამოღებულია - 31.01.2020, №16/ნ);

თ) საკონკურსო ქულა – ამ დებულებით დადგენილი წესით, საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებში ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/ გამოცდებში მიღებული კონკრეტულ ქულათა ჯამი, რომლის საფუძველზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დგება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტი;

ი) საპრეტენზიო კომისია – საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი დროებითი ორგანო;

კ) საგნობრივი კომისია – საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტის/ ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადის განხილვის მიზნით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით შექმნილი დროებითი ორგანო.“

ლ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შექმნილი საპრეტენზიო საბჭო – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებული გამოცდის/გამოცდების შედეგებთან დაკავშირებით, მაგისტრან ობის კანდიდატთა საპრეტენზიო განცხადებების განხილვის მიზნით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი დროებითი ორგანო;

მ) საგამოცდო - საიდენტიფიკაციო ბარათი – ამონაბეჭდი საერთო სამაგისტრო გამოცდაზე რეგისტრაციის ოფიციალური ვებგვერდის online.naec.ge (შემდგომში - რეგისტრაციის ვებგვერდი) სპეციალური პროგრამიდან, რომლის საფუძველზეც მაგისტრანტობის კანდიდატი დაიშვება საერთო სამაგისტრო გამოცდაზე;

ნ) საგამოცდო ცენტრი – საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების მიზნით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ სპეციალურად მოწყობილი, შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი განცალკევებული შენობა ან მისი ნაწილი, რომელშიც მიმდინარეობს ტესტირება;

ო) საგამოცდო სექტორი – საგამოცდო ცენტრის დანაყოფი, სადაც მაგისტრანტობის კანდიდატები განთავსდებიან გამოცდის მიმდინარეობისას;

პ) (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ);

ჟ) ტექნიკური კონტროლი – საგამოცდო პროცესზე დაკვირვების მეთოდი ვიდეოაღჭურვილობის მეშვეობით;

რ) (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ);

ს) (ამოღებულია - 11.11. 2013 № 172/ნ);

ტ) (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ);

უ) (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ);

ფ) (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ);

ქ) (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ);

ღ) (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ);

ყ) (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ);

შ) (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ);

ჩ) შეფასების ზოგადი კრიტერიუმი – ტესტის ნაწილის მიხედვით, შეფასებისა და გამოცდების

ეროვნული ცენტრის მიერ მაგისტრანტობის კანდიდატისთვის და ტესტის ნაწილისთვის დადგენილი ზოგადი მოთხოვნები, რომლის საფუძველზეც იქმნება შეფასების სქემა;

ც) შეფასების სქემა – ამ დებულებით დადგენილი წესით ტესტის ნაწილის მიხედვით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, შეფასების ზოგადი კრიტერიუმების შესაბამისად შედგენილი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მაგისტრანტობის კანდიდატის პასუხების ფურცლების გასწორება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი , 24.02.2011წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის ბრძანება №138/ნ - ვებგვერდი , 16.07.2012წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ნ - ვებგვერდი , 29.03.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 4 ივლისის ბრძანება №85/ნ - ვებგვერდი , 05.07.2013 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი , 12.11.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აპრილის ბრძანება №35/ნ - ვებგვერდი , 15.04.2015წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 თებერვლის ბრძანება №15/ ნ - ვებგვერდი , 18.02.2016წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ნ - ვებგვერდი , 31.05.2016 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №77/ნ - ვებგვერდი , 24.04.2019წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №87/ნ - ვებგვერდი, 05.08.2020 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 28 მაისის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 31.05.2021 წ.

მუხლი 3. სამაგისტრო გამოცდის ჩატარების მიზანი

სამაგისტრო გამოცდის ჩატარების მიზანია:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ბ) მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენა.

თავი II
სამაგისტრო გამოცდა

მუხლი 4. სამაგისტრო გამოცდა და მისი სამართლებრივი შედეგები

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა ხორციელდება სამაგისტრო გამოცდის შედეგების საფუძველზე, გარდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ დებულებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. სამაგისტრო გამოცდა შედგება ორი ნაწილისგან:

ა) საერთო სამაგისტრო გამოცდა;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა/ გამოცდები.

2^1. (ამოღებულია - 31.01.2020, №16/ნ).

2^2. (ამოღებულია - 31.01.2020, №16/ნ).

3. (ამოღებულია - 01.07.2022, №80/ნ).

4. საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გამოცდის/გამოცდების შედეგად გამოვლინდება ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც უფლებას მოიპოვებს სწავლა განაგრძოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ნ - ვებგვერდი , 29.03.2013 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი , 12.11.2013 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 თებერვლის ბრძანება №17/ნ - ვებგვერდი, 13.02.2014წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 12 ნოემბრის ბრძანება №148/ნ - ვებგვერდი, 12.11.2014 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 თებერვლის ბრძანება №15/ნ - ვებგვერდი, 18.02.2016 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ნ - ვებგვერდი, 31.05.2016 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 1 ივლისის ბრძანება №80/ნ - ვებგვერდი, 01.07.2022 წ.

მუხლი 4^1. საერთო სამაგისტრო გამოცდების ენა

1. მაგისტრანტობის კანდიდატები საერთო სამაგისტრო გამოცდებს აბარებენ ქართულ ენაზე.

2. უსინათლო მაგისტრანტობის კანდიდატთათვის გამოიყენება ბრაილის სისტემა ან სპეციალური ხმოვანი ელექტრონული პროგრამა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აპრილის ბრძანება №35/ნ - ვებგვერდი , 15.04.2015წ .
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020 წ.

მუხლი 5. სამგაგისტრო გამოცდის ჩატარების ფორმა და შეფასება

1. საერთო სამაგისტრო გამოცდა ტარდება ტესტის მეშვეობით.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტი შედგება ოთხი ნაწილისგან:

ა) წაკითხულის გააზრება;

ბ) ანალიტიკური წერა;

გ) ლოგიკური მსჯელობა;

დ) რაოდენობრივი მსჯელობა.

2^1. ტესტის შექმნამდე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ტარდება საცდელი ტესტირება. საცდელი ტესტირების შედეგად დგინდება:

ა) ტესტის საბოლოო ფორმატი;

ბ) ტესტში დავალებათა რაოდენობა;

გ) ტესტზე სამუშაო დრო.

2^2. შეფასების ზოგადი კრიტერიუმები და ტესტის ნაწილის მაქსიმალური ქულები დგინდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით საერთო სამაგისტრო გამოცდების დაწყებამდე.

2^3. საერთო სამაგისტრო გამოცდების შემდეგ ტესტის ნაწილის შესაბამისად შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში იქმნება პირველადი შეფასების სქემები . შეფასების სქემები საბოლოოდ ფორმირდება და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით მტკიცდება მაგისტრანტობის კანდიდატთა პასუხების ფურცლების პირველადი გასწორების შემდგომ.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ტესტის ნაწილებისთვის, გარდა რაოდენობრივი მსჯელობისა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს თითოეული ნაწილისათვის განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 30%-ს. რაოდენობრივი მსჯელობის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს ამ ნაწილისათვის განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 25%- ს.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია გაზარდოს საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისთვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

4^1) მაგისტრანტობის კანდიდატს ამ მუხლით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახულად ჩაეთვლება, თუ მის მიერ მიღებული ქულის შესაბამისი გათანაბრებული ქულა ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით საერთო სამაგისტრო გამოცდის თითოეული ნაწილისათვის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შესაბამის ქულაზე მეტი აღმოჩნდება.

5. მაგისტრანტობის კანდიდატი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებს იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავს ამ მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტებით დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვრებს, გარდა ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია დაადგინოს, რომ მაგისტრანტობის კანდიდატი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლებას, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხივე ნაწილში გადალახავს ამ მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტებით დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვრებს.

7. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია დაადგინოს ტესტის ის ნაწილი/ნაწილები, რომელშიც მაგისტრანტობის კანდიდატმა აუცილებლად უნდა გადალახოს ამ მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტებით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები იმისთვის, რომ მაგისტრანტობის კანდიდატმა მოიპოვოს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება.

8. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის დააწესოს გამოცდა შესაბამის სპეციალობაში.

9. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ სავალდებულო გამოცდასთან ერთად უფლებამოსილია კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის დააწესოს დამატებითი გამოცდა/გამოცდები სხვა საგანში/ საგნებში.

10. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავად ადგენს მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/ გამოცდების შინაარსს, ჩატარების ფორმასა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

11. საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე მაგისტრანტობის კანდიდატი ირიცხება შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ნ - ვებგვერდი , 29.03.2013 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 4 ივლისის ბრძანება №85/ნ - ვებგვერდი , 05.07.2013 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი , 12.11.2013 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №87/ნ - ვებგვერდი, 05.08.2020 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 1 ივლისის ბრძანება №80/ნ - ვებგვერდი, 01.07.2022 წ.

მუხლი 6. სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტი/კოეფიციენტები

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამაგისტრო გამოცდას ანიჭებს კოეფიციენტებს, რომელთა ჯამი 100-ის ტოლია.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტების მინიჭების ან არმინიჭების თაობაზე.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია მის მიერ განსაზღვრულ გამოცდას/ გამოცდებს მიანიჭოს კოეფიციენტები.

4. საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დაიცვას შემდეგი მოთხოვნები:

ა) სამაგისტრო გამოცდისთვის მინიჭებული კოეფიციენტების ჯამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ნაწილდება საერთო სამაგისტრო გამოცდასა და მის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/ გამოცდებზე;

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის მინიჭებული კოეფიციენტები უნდა გადანაწილდეს საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეულ ნაწილზე;

გ) საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეულ ნაწილს მიანიჭოს კოეფიციენტი – არანაკლებ 5-ისა;

დ) განსაზღვროს საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეული ნაწილისთვის მინიჭებული კოეფიციენტების საერთო ჯამი, რომელიც არანაკლებ 35-ისა და არა უმეტეს 65-ის ტოლია.

5. საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტების არმინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სამაგისტრო გამოცდისთვის მინიჭებული კოეფიციენტების ჯამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ენიჭება მის მიერ განსაზღვრულ გამოცდას/ გამოცდებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 1 ივლისის ბრძანება №80/ნ - ვებგვერდი, 01.07.2022 წ.

მუხლი 7. სამაგისტრო გამოცდის ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოები

1. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარებას კოორდინაციას უწევს სამინისტრო.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიმართვის შემთხვევაში უზრუნველყოს ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციასა და საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარებას.

5. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიმართვის შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულება საერთო სამაგისტრო გამოცდისა და საერთო სამაგისტრო გამოცდების საცდელი ტესტირებების ჩატარებისთვის უზრუნველყოფს მის სარგებლობაში არსებული შენობებიდან საჭირო ფართის გამოყოფას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი , 24. 02.2011 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის ბრძანება №23/ნ - ვებგვერდი , 03.02.2012 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 4 ივლისის ბრძანება №85/ნ - ვებგვერდი , 05.07.2013 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი , 12.11.2013 წ .

მუხლი 8. საერთო სამაგისტრო გამოცდაში მონაწილეობის საფასური

1. საერთო სამაგისტრო გამოცდების მონაწილეობის საფასური მოიცავს:

ა) საერთო სამაგისტრო გამოცდაში მონაწილეობის საფასურს, რომლის ოდენობაც შეადგენს 50 ლარს;

ბ) მაგისტრანტობის კანდიდატის ინიციატივით საგამოცდო ტესტის შეფასების თაობაზე საპრეტენზიო განაცხადის განხილვის საფასურს რომლის ოდენობაც, შეადგენს 50 ლარს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხების შეტანა ხდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საბანკო ანგარიშზე .

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფასური სრულად ბრუნდება, თუ მაგისტრანტობის კანდიდატი საერთო სამაგისტრო გამოცდაზე რეგისტრაციის ვადის განმავლობაში არ დარეგისტრირდა საერთო სამაგისტრო გამოცდაზე ან ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე უარი განაცხადა საერთო სამაგისტრო გამოცდაში მონაწილეობაზე, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული

საფასური სრულად ბრუნდება, თუ მაგისტრანტობის კანდიდატი საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვამდე არ წარადგენს საპრეტენზიო განაცხადს ან აღნიშნული ვადის ამოწურვამდე უარს განაცხადებს საპრეტენზიო განაცხადზე. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფასური ასევე სრულად ბრუნდება, თუ ტესტის პასუხების ფურცლის შეფასებასთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადის საფუძველზე შეიცვლება შეფასება.

4. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფასური გადახდილია ამავე ქვეპუნქტებით განსაზღვრულზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში) ან შესაბამის მაგისტრანტობის კანდიდატს უბრუნდება სხვაობა გადახდილ თანხასა და საფასურის დადგენილ ოდენობას შორის.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადახდილი საფასურის დაბრუნების შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით განცხადების წარდგენა ხდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით განცხადების წარდგენა – საერთო სამაგისტრო გამოცდის საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში. საფასურის თანხა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დაბრუნდება განცხადების მიღების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი,24.02.2011წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ნ - ვებგვერდი, 29.03.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი , 12.11.2013 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ ნ - ვებგვერდი , 31.05.2016 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020 წ.

თავი III
სამაგისტრო გამოცდის ორგანიზება

მუხლი 9. ერთიანი სამაგისტრო საგამოცდო ქსელი

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ დებულებით დადგენილი წესით სამაგისტრო გამოცდის ჩატარების მიზნით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრი ქმნის ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელს.

2. ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელში გაერთიანებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში, გარდა მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო, სახელოვნებო - შემოქმედებითი ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრატურისა, მაგისტრანტობის კანდიდატები ირიცხებიან „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ დებულებით დადგენილი წესით, საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების შედეგად.

3. ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელში გაერთიანება სავალდებულოა ყველა იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, რომელიც ახორციელებს მაგისტრატურას, გარდა მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო, სახელოვნებო - შემოქმედებითი ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრატურისა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ ნ - ვებგვერდი , 24.02.2011 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ ნ - ვებგვერდი , 29.03.2013 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ ნ - ვებგვერდი , 12.11.2013 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ ნ - ვებგვერდი , 31.05.2016 წ.

მუხლი 10. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების გამოცხადება

1. მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების მიზნით ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელში გაერთიანებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წლის პირველი თებერვლიდან 10 თებერვლამდე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში (შემდგომში – სპეციალური ელექტრონული პროგრამა) ელექტრონული ფორმით ასახავს სპეციალურ ანკეტა-კითხვარს (შემდგომში – ანკეტა) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაციას (შემდგომში – ანოტაცია).

2. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება სპეციალური ელექტრონული პროგრამის წარმოების წესი, მათ შორის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაზე წვდომის/დაშვების, ინფორმაციის ასახვის/შეტანის და ინფორმაციის დამუშავების წესები და პირობები.

3. სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში – მართვის სისტემა) ამოწმებს ამ

http://www.matsne.gov.ge

მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში ასახული ინფორმაციის სისწორეს, „ე “ ქვეპუნქტში მითითებული რაოდენობის შესაბამისობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით და შესაბამისი წლის 20 თებერვლამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ამოწმებს ანკეტას.

3[1]. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ამოწმებს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ და „მ“ ქვეპუნქტებში ასახული ინფორმაციის სისწორეს, ანოტაციაში მოცემული სამაგისტრო პროგრამების შესაბამისობას საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან და შესაბამისი წლის 20 თებერვლამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ამოწმებს ანკეტას.

4. ანკეტაში მითითებული უნდა იყოს:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა და სრული დასახელება;

ბ) საფოსტო მისამართი;

გ) ტელეფონი (ფაქსი, ელ . ფოსტის მისამართი);

დ) ხელმძღვანელი პირების ვინაობა მათი საკონტაქტო ტელეფონის მითითებით;

ე) სამაგისტრო პროგრამების ჩამონათვალი, რომელზეც შესაბამის წელს მოხდება მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღება;

ე[1]) თითოეულ სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრული ადგილების რაოდენობა;

ვ) მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება;

ზ) ინფორმაცია აკრედიტებულია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამა, აკრედიტაციის ვადის მითითებით;

თ) გადაწყვეტილება საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეული ნაწილისთვის ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გაზრდის თაობაზე სამაგისტრო პროგრამის მითითებით;

ი) თითოეული სამაგისტრო პროგრამისთვის სწავლის წლიური საფასურის შესახებ;

კ) სამაგისტრო პროგრამების მიხედვით:

კ.ა) ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად, საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისთვის და მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/ გამოცდებისთვის ამ დებულებით დადგენილი წესით კოეფიციენტების განაწილების თაობაზე, ხოლო თუ კოეფიციენტები იდენტურია, აგრეთვე ტესტის ნაწილების / გამოცდის პრიორიტეტი;

კ.ბ) ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად, საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტების არმინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისთვის ამ დებულებით დადგენილი წესით კოეფიციენტების განაწილების თაობაზე, ხოლო თუ კოეფიციენტები იდენტურია, აგრეთვე, გამოცდის პრიორიტეტი;

ლ) ტესტის იმ ნაწილის / ნაწილების ჩამონათვალი, რომელშიც მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა გადალახოს ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტებით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები იმისთვის, რომ მაგისტრანტობის კანდიდატმა მოიპოვოს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება.

მ) სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებასთან.

ნ) (ამოღებულია - 31.01.2020, №16/ნ).

ო) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

4[1]. ანკეტაში:

ა) ცენტრი სამაგისტრო გამოცდის ჩატარების წლის პირველ თებერვლამდე ასახავს:

ა.ა) მართვის სისტემის მიერ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებიდან (უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა; პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა) მოწოდებული მონაცემების საფუძველზე – ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ – „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციას.

ა.ბ) (ამოღებულია - 31.01.2020, №16/ნ).

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება:

ბ.ა) ასახავს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“-„მ“ და „ო“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციას;

ბ.ბ) აღნიშნავს იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელზეც შესაბამის წელს აქვს მაგისტრანტობის კანდიდატების მიღების სურვილი.

5. ანოტაციაში მითითებული უნდა იყოს:

ა) სამაგისტრო პროგრამის დასახელება , მიზანი და სწავლის შედეგი;

ბ) სამაგისტრო პროგრამის მოცულობა კრედიტებში;

გ) ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შეცვალოს/დაამატოს საერთო სამაგისტრო გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

7. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ანკეტაში დაფიქსირებული ინფორმაციის შეცვლის, ასევე ახალი სამაგისტრო პროგრამის დამატების/წარდგენის შემთხვევაში ვალდებულია სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახოს განახლებული ანკეტა და ანოტაცია სამაგისტრო გამოცდის წლის:

ა) 1 ივნისიდან 15 ივნისამდე;

ბ) 5 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, შესაბამისი წლის 25 ივნისამდე, ხოლო ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, შესაბამისი წლის 25 სექტემბრამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში:

ა) მართვის სისტემა ამოწმებს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში ასახული ინფორმაციის სისწორესა და „ე[1]“ ქვეპუნქტში მითითებული რაოდენობის შესაბამისობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებით;

ბ) სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ამოწმებს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ და „მ“ ქვეპუნქტებში ასახული ინფორმაციის სისწორეს, ანოტაციაში მოცემული სამაგისტრო პროგრამების შესაბამისობას საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან.

9. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაბამის წელს ვერ მიიღებს მაგისტრანტობის კანდიდატს, თუ ის ამ მუხლის პირველი ან/და მე-7 პუნქტებით დადგენილ ვადებში არ ასახავს ანკეტას და ანოტაციას სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში.

10. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ანკეტას განათავსებს საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე.

10[1]. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში ასახული ინფორმაციის სისწორის უზრუნველყოფის მიზნით:

ა) მართვის სისტემა ვალდებულია ანკეტაში მითითებული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის, აკრედიტაციაზე უარის თქმის ან აკრედიტაციის გაუქმების თაობაზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარადგინოს ამ გადაწყვეტილების შესახებ მისთვის ინფორმაციის მიწოდებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო აკრედიტაციის ვადის გასვლის შემთხვევაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია –არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს უნდა წარედგინოს არაუგვიანეს სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წლის 15 ოქტომბრისა;

ბ) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ვალდებულია, ამ მუხლის 10[1] პუნქტით გათვალისწინებული კომპიუტერულად დამუშავებული ელექტრონული ინფორმაცია, მისი მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში ასახოს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში და განათავსოს საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 3 ივნისის ბრძანება №367 - სსმ III, 03.06.2009, სსმ №68, მუხ .746

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი , 24.02.2011 წ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის ბრძანება №23/ნ - ვებგვერდი , 03.02.2012 წ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ნ - ვებგვერდი , 29.03.2013 წ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 სექტემბრის ბრძანება №146/ნ - ვებგვერდი , 23.09.2013 წ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013 წ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 თებერვლის ბრძანება № 17/ნ - ვებგვერდი, 13.02.2014წ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 თებერვლის ბრძანება №15/ნ - ვებგვერდი, 18.02.2016წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ნ - ვებგვერდი, 31.05.2016 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 29 იანვრის ბრძანება №04/ნ - ვებგვერდი, 29.01.2018წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №77/ნ - ვებგვერდი , 24.04.2019წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 ივლისის ბრძანება №143/ნ - ვებგვერდი, 15.07.2019წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 28 მაისის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 31.05.2021 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 1 ივლისის ბრძანება №80/ნ - ვებგვერდი, 01.07.2022 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №133/ნ - ვებგვერდი, 14. 12.2022 წ.

მუხლი 11. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია

1. საერთო სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობის მიღების საფუძველია პირის განცხადება საერთო სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობის მიღების შესახებ.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების მიზნით, დაინტერესებული პირის რეგისტრაცია ხორციელდება ამ მუხლით დადგენილი პროცედურებისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადება პირის მიერ ივსება ელექტრონული ფორმით, ონლაინ რეჟიმში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ვებგვერდისა www.naec.ge და რეგისტრაციის ვებგვერდის სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციისას პირი რეგისტრაციის ვებგვერდზე სპეციალურ პროგრამაში უთითებს პირად მონაცემებს, რის შემდეგაც სპეციალურ პროგრამაშივე იღებს შეტყობინებას შესაბამისი კოდის მითითებით, რომლის მეშვეობითაც არის შესაძლებელი რეგისტრაციის პროცედურის გაგრძელება.

5. პირს, სპეციალური პროგრამა არ შეუშვებს სისტემაში , თუ მას წინასწარ გადახდილი არ აქვს ამ დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთო სამაგისტრო გამოცდაში მონაწილეობის საფასური და ის შესაბამის ველში აღნიშვნით არ დაადასტურებს, რომ ეთანხმება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ პირობებს და გამოთქვამს მზადყოფნას გააგრძელოს ელექტრონული ფორმით რეგისტრაცია.

6. (ამოღებულია - 18.02.2016; №15/ნ).

7. რეგისტრაციის დროს პირი უთითებს:

ა) საკონტაქტო ტელეფონის ნომერს;

ბ) (ამოღებულია - 14.04.2015; №35/ნ);

გ) სასურველი საგამოცდო ცენტრის ადგილმდებარეობას;

$გ^1$) (ამოღებულია - 31.01.2020, №16/ნ);

დ) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას.

7^1. (ამოღებულია - 31.01.2020, №16/ნ).

8. ამ მუხლის მე -7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსების დროს პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი იტოვებს შესაძლებლობას მაგისტრანტობის კანდიდატი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ცენტრში.

9. რეგისტრაციასთან/სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებული საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს სპეციალური პროგრამიდან შენახული ან ამობეჭდილი აქვს რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

10. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მოთხოვნის შემთხვევაში, პირმა უნდა წარმოადგინოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დადგენილი დოკუმენტები.

11. მონაცემთა შეგროვების შემდეგ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, შესაბამისი წლის 20 ივნისამდე, რეგისტრაციის ვებგვერდის სპეციალურ პროგრამაში განთავსდება მაგისტრანტობის კანდიდატის საგამოცდო - საიდენტიფიკაციო ბარათი, რომელიც ადასტურებს მის უფლებას მონაწილეობა მიიღოს საერთო სამაგისტრო გამოცდებში.

12. საგამოცდო - საიდენტიფიკაციო ბარათში მიეთითება:

ა) საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილების ჩამონათვალი;

ბ) საგამოცდო ცენტრის დასახელება და მისამართი, სადაც მაგისტრანტობის კანდიდატი ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდებს;

გ) საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილის ჩატარების თარიღი და რეგისტრაციის დაწყების დრო;

დ) (ამოღებულია - 31.01.2020, №16/ნ).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი , 24.02.2011 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის ბრძანება №23/ნ - ვებგვერდი , 03.02.2012 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ნ - ვებგვერდი , 29.03.2013 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი , 12.11.2013 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აპრილის ბრძანება №35/ნ - ვებგვერდი , 15.04.2015 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 თებერვლის ბრძანება №15/ნ - ვებგვერდი , 18.02.2016წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ნ - ვებგვერდი , 31.05.2016 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020 წ.

მუხლი 12. საინფორმაციო ბაზა

1. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, სამაგისტრო გამოცდების ჩატარების მიზნით ,

ქმნის მაგისტრანტობის კანდიდატთა მონაცემების ელექტრონულ ბაზას.

2. (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ);

3. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია საერთო სამაგისტრო გამოცდაზე მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის, მაგისტრანტობის კანდიდატთა ელექტრონული ბაზის შექმნისა და საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს და დაამუშაოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემები.

4. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია საერთო სამაგისტრო გამოცდაზე რეგისტრირებულ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ/მოთავსებულ პირთა მონაცემთა ბაზების ფორმირებისა და მათი საერთო სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობის მიღების მიზნით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიაწოდოს და ამავე სამინისტროდან მიიღოს პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ/მოთავსებულ იმ პირთა თაობაზე ინფორმაცია, რომლებიც რეგისტრირებული არიან საერთო სამაგისტრო გამოცდებზე.

5. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, მომართვის შემთხვევაში, მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ მოწოდებულ სიაში არსებულ პირთა საერთო სამაგისტრო გამოცდებზე რეგისტრაციის ან/და საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების თაობაზე.

6. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია, სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, მიაწოდოს მას იმ მაგისტრანტობის კანდიდატთა თაობაზე ინფორმაცია, რომელთაც სამინისტროს მიმართეს სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოპოვების მიზნით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი, 24.02.2011წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12 .11.2013წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 თებერვლის ბრძანება № 17/ნ - ვებგვერდი , 13.02.2014წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ნ - ვებგვერდი, 31.05.2016წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 მაისის ბრძანება №79/ნ - ვებგვერდი, 01.06.2018წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020 წ.

მუხლი 13. (ამოღებულია)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 4 ივლისის ბრძანება №85/ნ - ვებგვერდი, 05.07.2013წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013წ .

თავი IV
საერთო სამაგისტრო გამოცდა

მუხლი 14. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების დრო და ადგილი

1. საგამოცდო ცენტრები განლაგებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შენობებში.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდა ტესტის ნაწილების შესაბამისად მიმდინარეობს ორი დღის განმავლობაში, ერთდროულად ყველა საგამოცდო ცენტრში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული განრიგის შესაბამისად.

3. (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ).

4. ფორსმაჟორის არსებობის შემთხვევაში შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განისაზღვრება შესაბამის ან სხვა საგამოცდო ცენტრში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარების ახალი ვადა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი, 24.02.2011წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აპრილის ბრძანება №35/ნ - ვებგვერდი, 15.04.2015წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ნ - ვებგვერდი, 31.05.2016წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №77/ნ - ვებგვერდი , 24.04.2019წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 28 მაისის ბრძანება №25/ნ - ვებგვერდი, 31.05.2021 წ.

მუხლი 15. საერთო სამაგისტო საგამოცდო პროცესზე დასწრება

1. საერთო სამაგისტრო გამოცდის მიმდინარეობის დროს საგამოცდო ცენტრში დაშვებულია მხოლოდ იმ პირების ყოფნა , რომელსაც აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სპეციალური დოკუმენტი.

2. (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ).

3. (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ).

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის საგამოცდო ცენტრში ყოფნამ ხელი არ უნდა შეუშალოს საგამოცდო პროცესის მიმდინარეობას, მას ეკრძალება ტესტის შინაარსთან დაკავშირებით მაგისტრანტობის კანდიდატის დახმარება ან მათი მუშაობისთვის ხელის შეშლა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი, 24.02.2011წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013წ.

მუხლი 16. საგამოცდო ცენტრში რეგისტრაცია

1. საერთო სამაგისტრო გამოცდაში მონაწილეობის მიღების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია:

ა) დროულად გამოცხადდეს საგამოცდო ცენტრში რეგისტრაციაზე;

ბ)თან იქონიოს:

ბ.ა) საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი;

ბ.ბ) პირადობის (ბინადრობის) მოწმობა/პასპორტი ან სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის ბეჭდით და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დამოწმებული განაცხადი/განცხადება-ანკეტა/ამონაბეჭდი ან სხვა დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია პირის ფოტოსურათი, სახელი, გვარი და პირადი ნომერი;

ბ.გ) თუ დოკუმენტი/ დოკუმენტები უცხო ენაზეა შედგენილი, ასევე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდაზე რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მაგისტრანტობის კანდიდატი გამოცდაზე არ დაიშვება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარეშე გამოცხადებული მაგისტრანტობის კანდიდატი ტესტირებაზე დაიშვება მხოლოდ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ინფორმაციის გადამოწმების შემდგომ. იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრანტობის კანდიდატების მონაცემთა ბაზაში მაგისტრანტობის კანდიდატის თაობაზე არ აღმოჩნდება ინფორმაცია ან აღმოჩნდება, მაგრამ მაგისტრანტობის კანდიდატთა მონაცემების ელექტრონულ ბაზაში არსებული ფოტოსურათი არ შეესაბამება პიროვნებას, პირი ტესტირებაზე არ დაიშვება.

3^1. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გადამოწმება გარკვეულ დროს მოითხოვს მაგისტრანტობის კანდიდატი დაშვებული იქნება ტესტირებაზე. თუ ტესტირების მიმდინარეობის დროს ან ტესტირების დასრულების შემდგომ მაგისტრანტობის კანდიდატთა მონაცემების ელექტრონულ ბაზებში მაგისტრანტობის კანდიდატის თაობაზე არ აღმოჩნდება ინფორმაცია ან აღმოჩნდება, მაგრამ მაგისტრანტობის კანდიდატთა მონაცემების ელექტრონულ ბაზებში არსებული ფოტოსურათი არ შეესაბამება პიროვნებას, პირის ნაშრომი არ გასწორდება.

4. საერთო სამაგისტრო გამოცდაზე გამოუცხადებლობა მაგისტრანტობის კანდიდატს უფლებას ართმევს მოითხოვოს დამატებითი გამოცდის ჩატარება, მიუხედავად იმისა, გამოცდაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული თუ არა.

5. საგამოცდო ცენტრში რეგისტრაცია მიმდინარეობს ერთი საათი.

6. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, სპეციალურად მოწყობილ საგამოცდო სექტორში უზრუნველყოფს იმ მაგისტრანტობის კანდიდატის განთავსებას, რომელიც საჭიროებს სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს (ფუნქციონალური დარღვევების მქონე პირები, გადამდები ინფექციური დაავადებების მქონე პირები და სხვა პირები).

7. მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია გადამდები დაავადების თაობაზე (დაავადება, რომელმაც შეიძლება საგამოცდო პროცესში მონაწილე სხვა პირის ჯანმრთელობას შეუქმნას საფრთხე) სამედიცინო ცნობა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ან საგამოცდო ცენტრში წარადგინოს შესაბამისი ტესტირების დაწყებამდე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი წესით.

8. (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი, 24.02.2011 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 4 ივლისის ბრძანება №85/ნ - ვებგვერდი, 05.07.2013 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის ბრძანება №94/ნ - ვებგვერდი, 18.07.2013 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 თებერვლის ბრძანება №15/ნ - ვებგვერდი, 18.02.2016 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ნ - ვებგვერდი, 31.05.2016 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020 წ.

მუხლი 17. ტესტირების მიმდინარეობა

1. ტესტირება მიმდინარეობს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი პროცედურებით.

1^1. (ამოღებულია - 28.03.2013, № 44/ნ).

1^2. (ამოღებულია - 28.03.2013, № 44/ნ).

2. საერთო სამაგისტრო გამოცდის დაწყებამდე ხდება პასუხების ფურცლის დაშიფვრა ინდივიდუალური სისტემით.

3. ტესტირებისთვის გამოყოფილ საგამოცდო დროს, საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილების შესაბამისად, ადგენს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი , 24.02.2011 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 30 ივლისის ბრძანება №152/ნ - ვებგვერდი , 03.08.2012 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ნ - ვებგვერდი , 29.03.2013 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი , 12.11.2013 წ .

მუხლი 18. მუშაობა საგამოცდო ტესტზე

1. (ამოღებულია - 04.07.2013, № 85/ნ).

2. ტესტურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მაგისტრანტობის კანდიდატს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით, კალმით და სუფთა თაბახის ფურცლებით.

3. საერთო სამაგისტრო გამოცდის მსვლელობისას მაგისტრანტობის კანდიდატს უფლება აქვს თან იქონიოს:

ა) წყალი;

ბ) პირადი ჰიგიენის საგნები;

გ) ამ დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები;

დ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა ნივთები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წინასწარი თანხმობით;

ე) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სპეციფიკაციების შესაბამისი გელიანი (ე.წ. ტუშის) კალამი, რომლის გამოყენება შეუძლია ტესტირების დროს, ცენტრის მიერ გადაცემული კალმის ნაცვლად.

4. საერთო სამაგისტრო გამოცდის მსვლელობისას მაგისტრანტობის კანდიდატს ეკრძალება:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;

ბ) გამოცდაზე დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების (გარდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გადაცემული თაბახის ფურცლებისა) და სხვათა გამოყენება;

გ) პასუხების ფურცლის შესავსებად ამ მუხლით განსაზღვრული კალმის გარდა სხვა კალმის გამოყენება, აგრეთვე, პასუხების ფურცელზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, ნომერი, მისამართი და სხვ.) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან;

დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა მაგისტრანტობის კანდიდატისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ე) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან ერთად;

ვ) მერხზე პასუხების ფურცლის, საწერი კალმის, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გადაცემული თაბახის ფურცლებისა და ამ დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ. ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გარდა სხვა ნივთების მოთავსება, გარდა ცენტრის მიერ ნებადართული ნივთებისა;

ზ) ტესტზე მუშაობის დაწყება შესაბამისი მითითების გარეშე;

თ) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ ტესტზე მუშაობის გაგრძელება.

5. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს საერთო სამაგისტრო გამოცდების მიმდინარეობაზე დაკვირვებას ვიდეო - აღჭურვილობის მეშვეობით.

6. (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ).

7. (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ).

8. (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი, 24.02.2011წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ნ - ვებგვერდი, 29.03.2013 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 4 ივლისის ბრძანება №85/ნ - ვებგვერდი, 05.07.2013 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი , 12.11.2013წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აპრილის ბრძანება №35/ნ - ვებგვერდი, 15.04.2015 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 თებერვლის ბრძანება №15/ნ - ვებგვერდი, 18.02.2016წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ნ - ვებგვერდი, 31.05.2016 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 მაისის ბრძანება №79/ნ - ვებგვერდი, 01.06.2018წ.

მუხლი 19. საერთო სამაგისტრო გამოცდის მსვლელობის წესის დარღვევა

1. საერთო სამაგისტრო გამოცდის მსვლელობისას მაგისტრანტობის კანდიდატი მიიღებს გაფრთხილებას:

ა) ამ დებულების მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნივთების გარდა სხვა ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში;

ბ) ამ დებულების მე-18 მუხლის მე -4 პუნქტის „გ"–„ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

2. (ამოღებულია - 04.07.2013, №85/ნ).

3. ამ დებულების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოქმედების ჩადენის შემთხვევაში, გაფრთხილების მიცემასთან ერთად მაგისტრანტობის კანდიდატს ჩამოერთმევა პასუხების ფურცელი, რომლის ნაცვლად გადაეცემა სარეზერვო პასუხების ფურცელი.

4. ამ დებულების მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით და მე-4 პუნქტის „გ"-„ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის განმეორების შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი იხსნება გამოცდიდან, რაც ფორმდება ოქმით შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

5. გაფრთხილების გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატის გამოცდიდან მოხსნა შესაძლებელია:

ა) ამ დებულების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული აპარატურის აღმოჩენის შემთხვევაში;

ა[1]) ამ დებულების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) წესრიგის უხეში დარღვევის, საგამოცდო პროცესის მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში.

გ) ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში.

6. გაფრთხილების გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატის გამოცდიდან მოხსნა ფორმდება ოქმით შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

7. (ამოღებულია - 11.11.2013, №172/ნ).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი, 24.02.2011წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 4 ივლისის ბრძანება №85/ნ - ვებგვერდი, 05.07.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 27 თებერვლის ბრძანება №22/ნ - ვებგვერდი, 04.03.2014წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 თებერვლის ბრძანება №15/ნ - ვებგვერდი, 18.02.2016წ.

მუხლი 20. მაგისტრანტობის კანდიდატთა ნაშრომების გასწორება

1. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში საგამოცდო ცენტრიდან გაგზავნილი დალუქული პასუხების ფურცლები იხსნება, რეგისტრირდება, ხდება მათი სკანირება და განაწილება.

1[1]. გამსწორებლის მიერ სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი.

2. (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ).

3. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით საგამოცდო ტესტის თითოეული ნაწილის შინაარსის გათვალისწინებით:

ა) ამ დებულების მე-5 მუხლის მე -2 პუნქტის „ა", „გ" და „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტესტის ნაწილების პასუხების ფურცელები სწორდება კომპიუტერის და საამისოდ გამიზნული სხვა ტექნიკური საშუალებების მეშვეობით;

ბ) ამ დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტესტის ნაწილის პასუხების ფურცელი სწორდება ორი დამოუკიდებელი გამსწორებლის მიერ, დამოუკიდებლად მინიმუმ ორჯერ და მეორე გასწორების შედეგად მიღებული ქულა საბოლოოა. პასუხების ფურცელში შემავალი ტესტური დავალების შეფასებაში შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი სხვაობის შემთხვევაში შესაბამისი ტესტური დავალება სწორდება მესამე გამსწორებლის მიერ. მესამედ გასწორების შედეგად მიღებული ქულა საბოლოოა.

4. პასუხების ფურცელი, რომელიც შეიცავს მაიდენტიფიცირებელ ნიშანს ან რაიმე სახის გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან, არ გასწორდება.

5. ამ დებულების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხების ფურცელი არ გასწორდება.

6. მაგისტრანტობის კანდიდატის პასუხების ფურცელი სწორდება საერთო სამაგისტრო გამოცდის დასრულებიდან 27 დღის განმავლობაში.

7. საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგად მიღებული ქულები ქვეყნდება შეფასებისა და გამოცდების

ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, რომელიც სპეციალური კოდის გამოყენებით ხელმისაწვდომია მხოლოდ დაინტერესებული პირისათვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი, 24.02.2011წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის ბრძანება №23/ნ - ვებგვერდი, 03.02.2012წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 4 ივლისის ბრძანება №85/ნ - ვებგვერდი, 05.07.2013 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი , 12.11.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ნ - ვებგვერდი, 31.05.2016წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 28 მარტის ბრძანება №37/ნ - ვებგვერდი, 29.03.2018წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 მაისის ბრძანება №79/ნ - ვებგვერდი, 01.06.2018წ.

მუხლი 21. ტესტური დავალებებისა და მათი პასუხების გამოქვეყნება

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 15 დღისა, უზრუნველყოფს ტესტური დავალებებისა და მათი პასუხების შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 თებერვლის ბრძანება №15/ნ - ვებგვერდი, 18.02.2016წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ნ - ვებგვერდი, 31.05.2016წ.

მუხლი 21[1]. პასუხების ფურცლების განადგურების პროცედურები

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ამ დებულების 21-ე მუხლით გათვალისწინებული ტესტების და მათი პასუხების შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებიდან 12 თვის შემდეგ უზრუნველყოფს პასუხების ფურცლების განადგურებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აპრილის ბრძანება №35/ნ - ვებგვერდი, 15.04.2015წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №152/ნ - ვებგვერდი, 26.11.2015წ.

მუხლი 22. ვადები

ამ თავით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულების ვადებს, რომლებიც განსაზღვრული არ არის ამ დებულებით, ადგენს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013წ.

თავი V
საერთო სამაგისტრო ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების წარდგენა და განხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 20 ივნისის ბრძანება №117/ნ - ვებგვერდი, 21.06.2012წ.

მუხლი 23. საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის უფლება

1. მაგისტრანტობის კანდიდატს უფლება აქვს წარადგინოს საპრეტენზიო განაცხადი საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე და ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით , ამ თავით დადგენილი წესით.
2. სრულწლოვანი მაგისტრანტობის კანდიდატის ნაცვლად საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე საპრეტენზიო განაცხადის შეტანა შეუძლია პირს, რომელიც წარმოადგენს ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას.

მუხლი 24. საპრეტენზიო განაცხადის მიღებაზე უფლებამოსილი ორგანო

1. საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე საპრეტენზიო განაცხადი წარედგინება საგამოცდო ცენტრის შენობაში.
2. საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით საპრეტენზიო განაცხადი წარედგინება ელექტრონული ფორმით ონლაინ რეჟიმში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ვებგვერდისა www.naec.ge და რეგისტრაციის ვებგვერდის გამოყენებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №152/ნ - ვებგვერდი, 26.11.2015წ.

მუხლი 25. საპრეტენზიო განაცხადის ფორმა და წარდგენა

1. მაგისტრანტობის კანდიდატი საპრეტენზიო განაცხადს წარადგენს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საპრეტენზიო განაცხადის ფორმის შესაბამისად.
2. საპრეტენზიო განაცხადის ფორმაში აღნიშნული უნდა იყოს:
ა) იმ ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება საპრეტენზიო განაცხადი;

ბ) იმ ორგანოს დასახელება, რომლის სახელზეც წარედგინება პრეტენზია;

გ) საპრეტენზიო განაცხადის წარმდგენი პირის ვინაობა;

დ) დარღვეული პროცედურის აღწერა, საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე პრეტენზიის წარდგენის შემთხვევაში;

ე) იმ ტესტური დავალების/დავალებების ნომერი/ნომრები, რომლის თაობაზეც წარდგენილია პრეტენზია, საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებული პრეტენზიის წარდგენის შემთხვევაში. საპრეტენზიო განაცხადში ტესტური დავალების მითითების არარსებობის შემთხვევაში, განიხილება ნაშრომში შემავალი ყველა ტესტური დავალების შეფასების სისწორე;

ვ) საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის თარიღი.

3. საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე საპრეტენზიო განაცხადს უნდა დაერთოს ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, ამ დებულების 23-ე მუხლის მე -2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

4. მაგისტრანტობის კანდიდატს, სპეციალური პროგრამა არ მისცემს საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით საპრეტენზიო განაცხადის ფორმის შევსების საშუალებას, თუ მას წინასწარ გადახდილი არ აქვს ამ დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრეტენზიო განაცხადის განხილვის საფასური.

5. საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე საპრეტენზიო განაცხადის წარდგენისას მაგისტრანტობის კანდიდატმა თან უნდა იქონიოს საგამოცდო ბარათი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ დოკუმენტი/ დოკუმენტები უცხო ენაზეა შედგენილი, ასევე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013წ.

მუხლი 26. საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადა

1. საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე მაგისტრანტობის კანდიდატს გამოცდის დღეს, 21 საათამდე, შესაბამის საგამოცდო ცენტრში შეაქვს საპრეტენზიო განაცხადი საპრეტენზიო კომისიის სახელზე, რომელიც არაუგვიანეს მომდევნო დღისა, ეგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, ხოლო შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს საპრეტენზიო განაცხადის მიწოდებას საპრეტენზიო კომისიისათვის.

2. მაგისტრანტობის კანდიდატი საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით, ამ დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით, საპრეტენზიო განაცხადს ავსებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში. საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადა არ უნდა იყოს 3 სამუშაო დღეზე ნაკლები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აპრილის ბრძანება №35/ნ - ვებგვერდი, 15.04.2015წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ნ - ვებგვერდი, 31.05. 2016წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 მარტის ბრძანება №51/ნ - ვებგვერდი, 25.03.2019წ.

მუხლი 26^1. საპრეტენზიო განაცხადის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადები განიხილება საპრეტენზიო კომისიის მიერ.

1^1. საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადები განიხილება შესაბამისი საგნობრივი კომისიის მიერ.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე და ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადების განხილვისას დაცული უნდა იყოს ნაშრომის კონფიდენციალურობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აპრილის ბრძანება №35/ნ - ვებგვერდი, 15.04.2015წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ნ - ვებგვერდი, 31.05.2016წ.

მუხლი 26^2. საპრეტენზიო და საგნობრივი კომისიები

1. საპრეტენზიო და საგნობრივი კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

2. საგნობრივი კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც მონაწილეობდა საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტის/ტესტების შედგენაში ან არის მიმდინარე წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ნაშრომების გამსწორებელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აპრილის ბრძანება №35/ნ - ვებგვერდი, 15.04.2015წ.

მუხლი 26³. (ამოღებულია)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აპრილის ბრძანება №35/ნ - ვებგვერდი, 15.04.2015წ.

მუხლი 26⁴. საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევების განხილვა საპრეტენზიო კომისიის მიერ

1. საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი პრეტენზია შეიძლება ეხებოდეს:

ა) პრეტენზიის წარმდგენი მაგისტრანტობის კანდიდატის უფლებების დარღვევას ტესტირების პროცესის მონაწილე სხვა პირების მიერ;

ბ) სხვა მაგისტრანტობის კანდიდატის მიმართ ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევას ტესტირების პროცესის მონაწილე სხვა პირების მიერ (მაგისტრანტობის კანდიდატისათვის დახმარების აღმოჩენა და ა.შ).

2. (ამოღებულია - 14.04.2015; №35/ნ).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აპრილის ბრძანება №35/ნ - ვებგვერდი, 15.04.2015წ.

მუხლი 26⁵. საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება

1.საპრეტენზიო კომისია საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევებთან დაკავშირებულ საპრეტენზიო განაცხადთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს, საპრეტენზიო განაცხადების მიღების ვადის დასრულებიდან 5 დღის ვადაში.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტირების პროცედურის დარღვევის დადასტურების შემთხვევაში საპრეტენზიო კომისიამ შეიძლება მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება/ გადაწყვეტილებები:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატის უფლებების დარღვევის დადასტურებისას – მისი ნაშრომის გასწორების თაობაზე;

ბ) მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ ტესტირების პროცედურის დარღვევისას – მისი ნაშრომის ნული ქულით შეფასების თაობაზე.

3. (ამოღებულია - 14.04.2015; №5/ნ);

4. (ამოღებულია - 13.07.2012, №138/ნ).

5. საპრეტენზიო კომისია გადაწყვეტილების მიღებიდან ორი დღის ვადაში გადასცემს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორს გადაწყვეტილებას.

6. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებას ორი დღის ვადაში აცნობებს მაგისტრანტობის კანდიდატს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის ბრძანება №138/ნ - ვებგვერდი, 16.07.2012წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აპრილის ბრძანება №35/ნ - ვებგვერდი, 15.04.2015წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ნ - ვებგვერდი, 31.05.2016წ.

მუხლი 26⁶. საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადის განხილვა

1. საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადი, ნაშრომთან ერთად გადაეცემა შესაბამის საგნობრივ კომისიას, რომლის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

2. საპრეტენზიო განაცხადის განხილვისას საგნობრივი კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს საპრეტენზიო განაცხადში მითითებული ტესტური დავალების/დავალებების ფარგლებში, ტესტური დავალების/დავალებების შეფასების სისწორეზე და 20 დღის ვადაში მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება / გადაწყვეტილებები:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატისათვის ქულის მომატების შესახებ;

ბ) მაგისტრანტობის კანდიდატისათვის ქულის დაკლების შესახებ;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატისათვის ქულის უცვლელად დატოვების შესახებ.

3. (ამოღებულია - 30.05.2016; №51/ნ).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის ბრძანება №138/ნ - ვებგვერდი, 16.07.2012წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აპრილის ბრძანება №35/ნ - ვებგვერდი, 15.04.2015წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ნ - ვებგვერდი, 31.05.2016 წ.

მუხლი 26⁷. საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადის თაობაზე საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილება

1. საგნობრივი კომისია საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საპრეტენზიო განცხადებების წარმოდგენის პროცესის დასრულებიდან 20 დღის ვადაში.

2. საგნობრივი კომისია გადაწყვეტილების მიღებიდან ორი დღის ვადაში გადასცემს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორს გადაწყვეტილებას.

3. საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილებები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ განთავსდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე საპრეტენზიო განცხადებების წარმოდგენის პროცესის დასრულებიდან არა უგვიანეს 25 დღისა. საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილებები სპეციალური კოდის გამოყენებით ხელმისაწვდომია მხოლოდ დაინტერესებული პირისათვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აპრილის ბრძანება №35/ნ - ვებგვერდი, 15.04.2015წ.

თავი VI
საერთო სამაგისტრო გამოცდის საბოლოო შედეგები

მუხლი 27. საერთო სამაგისტრო გამოცდის საბოლოო შედეგები

1. ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით პრეტენზიების განხილვის დროს მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორთან გადაცემის შემდეგ ამ დებულებით დადგენილი წესით გამოითვლება საერთო სამაგისტრო გამოცდის თითოეული ნაწილის ნორმირებული ქულა , რომლის მთელ რიცხვამდე დაყვანის მიზნით ერთსა და იმავე რიცხვზე გადამრავლების შემდეგ დგება იმ მაგისტრანტობის კანდიდატთა სია, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საერთო სამაგისტრო გამოცდა.

1^1) საერთო სამაგისტრო გამოცდის თითოეული ნაწილის ნორმირებული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით:

ა) გამოითვლება საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეულ ნაწილში მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ მიღებული გათანაბრებული ქულა;

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეულ ნაწილში მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ მიღებული გათანაბრებული ქულა გაიყოფა საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის შესაბამისი ნაწილის მაქსიმალურ ქულაზე და მიიღება ნორმირებული ქულა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სიას, საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში ამტკიცებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი და დამტკიცებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში უზრუნველყოფს ამ სიის ატვირთვას სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში და მიწოდებას შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის ბრძანება №23/ნ - ვებგვერდი, 03.02.2012წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის ბრძანება №138/ნ - ვებგვერდი, 16.07.2012წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ნ - ვებგვერდი, 29.03.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 12.11.2013წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აპრილის ბრძანება №35/ნ - ვებგვერდი, 15.04.2015წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 29 იანვრის ბრძანება №04/ნ - ვებგვერდი, 29.01.2018წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №87/ნ - ვებგვერდი, 05.08.2020 წ.

მუხლი 28. (ამოღებულია)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ნ - ვებგვერდი , 29.03.2013წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი , 12.11.2013წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020 წ.

თავი VII
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები

მუხლი 29. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდისგამოცდების ჩატარების წესი

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები ჩაატაროს როგორც საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების გამოქვეყნებამდე, ისე საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/ გამოცდების

ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რექტორის აქტით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მის მიერ განსაზღვრულ გამოცდას/გამოცდებს ატარებს მის მიერ წინასწარ განსაზღვრულ შენობაში.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებულ სხვა პროცედურულ საკითხებს ადგენს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტს და მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/ გამცდების შედეგებს აქვეყნებს მის ოფიციალურ ვებგვერდზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის ბრძანება №23/ნ - ვებგვერდი, 03.02.2012წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ნ - ვებგვერდი, 29.03.2013წ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ნ - ვებგვერდი, 31.05.2016წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 1 ივლისის ბრძანება №80/ნ - ვებგვერდი, 01.07.2022 წ.

მუხლი 30. პრეტენზიის წარდგენა და განხილვა

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე საპრეტენზიო განცხადებებს განიხილავს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

2. მაგისტრანტობის კანდიდატი საპრეტენზიო განაცხადს შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ ვადაში.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საპრეტენზიო განცხადებებს განიხილავს მის მიერ შექმნილი საპრეტენზიო საბჭოს მიერ. საპრეტენზიო საბჭო არ შეიძლება შედგებოდეს იმ პირებისაგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მაგისტრანტობის კანიდატების შეფასებაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 მაისის ბრძანება №79/ნ - ვებგვერდი, 01.06.2018წ.

მუხლი 31. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირება

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/ გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, ქმნის სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს.

2. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები წარმატებით ჩააბარა.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს ქმნის შესაბამის სპეციალობაზე/ სპეციალობების სამაგისტრო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა გამოცხადებული ადგილების რაოდენობის, მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ მიღებული ნორმირებული ქულისა და მის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისთვის ან/ და მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდისთვის მინიჭებული კოეფიციენტის/ კოეფიციენტების, ხოლო თუ კოეფიციენტები იდენტურია, ტესტის ნაწილების ან/ და გამოცდის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

4. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ამ დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საერთო სამაგისტრო გამოცდას მიანიჭებს კოეფიციენტებს, მაგისტრანტობის კანდიდატის საკონკურსო ქულა გამოითვლება შემდეგი წესის დაცვით:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულა იყოფა ამ გამოცდის მაქსიმალურ ქულაზე და მიიღება ნორმირებული ქულა;

ბ) ამ დებულების 27-ე მუხლის პირველი პუნქტით და ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმირებული ქულა გადამრავლდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ტესტის ნაწილებისთვის/ გამოცდებისთვის წინასწარ განსაზღვრულ კოეფიციენტებზე და მიიღება საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეული ნაწილის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი გამოცდის/ გამოცდების კონკრეტული ქულა;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კონკრეტული ქულები ჯამდება და მიიღება მაგისტრანტობის კანდიდატის საკონკურსო ქულა.

5. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ამ დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მის მიერ განსაზღვრულ გამოცდას/ გამოცდებს მიანიჭებს კოეფიციენტებს, მაგისტრანტობის კანდიდატის საკონკურსო ქულა გამოითვლება შემდეგი წესის დაცვით:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულა იყოფა ამ გამოცდის მაქსიმალურ ქულაზე და მიიღება ნორმირებული ქულა;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმირებული ქულა გადამრავლდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სამაგისტრო გამოცდებისთვის წინასწარ განსაზღვრულ კოეფიციენტზე/ კოეფიციენტებზე და მიიღება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი გამოცდის/ გამოცდების კონკრეტული ქულა;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კონკრეტული ქულა/ქულები ჯამდება და მიიღება მაგისტრანტობის კანდიდატის საკონკურსო ქულა.

6. თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის სპეციალობაზე/ სპეციალობის პროგრამულ მიმართულებაზე მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პროცესში აღმოჩნდება, რომ ბოლო ადგილზე ამ მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტების შესაბამისად, რანჟირებული მაგისტრანტობის კანდიდატების ნუსხიდან, ტესტის ნაწილების/ გამოცდების პრიორიტეტების გათვალისწინების შემდეგ თანაბარი ჩარიცხვის უფლება აქვს ორ ან მეტ მაგისტრანტობის კანდიდატს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იღებს გადაწყვეტილებას მისთვის გამოყოფილი მისაღებ სტუდენთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში ამ სპეციალობისათვის/ სპეციალობის პროგრამული მიმართულებისთვის ადგილების დამატების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს დამატებული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა მომდევნო სასწავლო წელს დადგენილ მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტს.

7. (ამოღებულია - 31.01.2020, №16/ნ).

8. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობების დაცვით, სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში გაითვალისწინოს მაგისტრანტობის ის კანდიდატიც, რომელსაც საერთო სამაგისტრო გამოცდა წარმატებულად ჩაბარებულად სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჩაეთვალა.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული მაგისტრანტობის კანდიდატის გათვალისწინება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში დასაშვებია მხოლოდ ცენტრის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მომდევნო საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახვამდე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი , 24.02.2011წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ნ - ვებგვერდი , 29.03.2013წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №152/ნ - ვებგვერდი , 26.11.2015წ .

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №98/ნ - ვებგვერდი , 03.11.2023წ .

მუხლი 32. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.

2. მაგისტრანტობის კანდიდატთა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

2^1. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობის საფუძველზე შეიძლება ჩაირიცხოს მაგისტრატურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს.

3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

4. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, დგება რექტორის ერთიანი აქტი. რექტორის ერთიან აქტში მითითებულია მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამაგისტრო გამოცდის წლის 5 ოქტომბრამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ ამ დებულების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური ელექტრონული პროგრამის წარმოების წესის შესაბამისად.

4^1. (ამოღებულია - 29.01.2018, №04/ნ).

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ერთიანი აქტის გამოცემის შემდეგ პირი ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი – მაგისტრანტი.

6. (ამოღებულია - 24.02.11 №26/ნ).

7. (ამოღებულია).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №962 - სსმ III, 04.11.2009, სსმ №136, მუხ.1560
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი, 24.02.2011წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის ბრძანება №23/ნ - ვებგვერდი, 03.02.2012წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი, 07.09.2012წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №201/ნ - ვებგვერდი, 27.09.2012წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ნ - ვებგვერდი , 29.03.2013წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი , 12.11.2013წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 29 იანვრის ბრძანება №04/ნ - ვებგვერდი, 29.01.2018წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის ბრძანება №98/ნ - ვებგვერდი, 29.06.2018წ.

თავი VIII
გარდამავალი დებულებები

მუხლი 33. გარდამავლი დებულებები

1. 2009 წელს ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელში გაერთიანება ნებაყოფლობითია კერძო სამართლის იურიდიული პირისთვის – აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66^1 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კერძო სამართლის იურიდიული პირისთვის – ახლად დაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

2. აკრედიტებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66^1 მუხლის მე -2 პუნქტით გათვალისწინებულმა კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა – ახლად დაფუძნებულმა ლიცენზირებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, წერილობითი განცხადება ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელში გაერთიანების თაობაზე გამოცდების ეროვნულ ცენტრში უნდა წარადგინოს ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში.

3. 2009 წელს ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელში გაერთიანებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საერთო სამაგისტრო გამოცდებამდე ჩაატაროს მაგისტრანტობის კანდიდატისთვის განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები. ამ შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატების შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვაზე ვრცელდება ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

4. სამინისტროს და გამოცდების ეროვნულ ცენტრს უფლება აქვს 2011 წლის სამაგისტრო გამოცდისთვის დაადგინოს ამ დებულებისგან განსხვავებული ვადები.

4^1. სამინისტროს უფლება აქვს 2016 წლის სამაგისტრო გამოცდისთვის დაადგინოს ამ დებულების მე-4 მუხლის 2^1 პუნქტითა და მე-10 მუხლის პირველი - მე-3 პუნქტებით განსაზღვრულისგან

განსხვავებული ვადები.

5. პირები, რომლებიც 2013 წლის 5 ოქტომბრამდე სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდნენ ამ დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევით, უფლებამოსილნი არიან მიმართონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას 2014 წლის პირველ თებერვლამდე მათ მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპის შესაბამის პროგრამულ მიმართულებაზე ჩარიცხვის მიზნით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, არსებული ვაკანტური ადგილებისა და ამ დებულების 29-ე -31-ე მუხლებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი, პირის ჩარიცხვის შესახებ . დაწესებულება ვალდებულია რექტორის აქტის გამოცემიდან 10 დღის ვადაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისი ინფორმაცია ჩარიცხული პირების შესახებ, ელექტრონული ფორმით.

6. 2014-2015 სასწავლო წლისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ერთი სამაგისტრო პროგრამიდან სხვა სამაგისტრო პროგრამაზე გადაანაცვლოს სამაგისტრო პროგრამებზე განსაზღვრული ადგილების რაოდენობა იმ მაგისტრანტობის კანდიდატთა რაოდენობის 10%- ის ფარგლებში, რომლებმაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა/ გამოცდები წარმატებით ჩააბარეს. ამასთან, გადანაცვლებული ადგილების შედეგად მიღებული საერთო რაოდენობა , არ უნდა აღემატებოდეს იმ მაგისტრანტობის კანდიდატთა რაოდენობას, რომლებმაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები წარმატებით ჩააბარეს.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით მინიჭებული უფლების განხორციელებამდე , უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინოს დასაბუთებული ინფორმაცია, სამაგისტრო პროგრამებზე განსაზღვრული ადგილების დეტალური გადანაწილების, ასევე შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსის არსებობის თაობაზე.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ დასაბუთებაში წარდგენილი ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია შეამოწმოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი რესურსი.

9. 2014-2015 სასწავლო წლისთვის, იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ამ დებულების 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დგება რექტორის ერთიანი აქტი, რომელიც 13 ოქტომბრამდე იგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. რექტორის ერთიან აქტში მითითებულია მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. საგანმანათლებლო დაწესებულება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 15 ოქტომბრის ჩათვლით წარადგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამის ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ ელექტრონული ფორმით.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული წესით, შესაძლებელია ჩაირიცხოს მაგისტრანტობის ის კანდიდატიც, რომელმაც განაცხადი გააკეთა იმ სამაგისტრო პროგრამაზე, რომლის განხორციელების უფლებაც უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოიპოვა 2014 წლის 15 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე.

11. საერთო სამაგისტრო გამოცდაში მონაწილეობის საფასურის დაბრუნების შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით განცხადების წარდგენა ხდება 2016 წლის პირველი ივნისიდან 20 ივნისის ჩათვლით.

12. 2018 წელს ამ დებულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ანკეტის დამოწმებას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს 2018 წლის 23 თებერვლის ჩათვლით.

13. 2019-2020 სასწავლო წელს საერთო სამაგისტრო გამოცდების მიზნებისთვის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა განისაზღვრება ამ ბრძანებით (დანართი №3) დამტკიცებული ცხრილის შესაბამისად.

14. 2020 წელს საერთო სამაგისტრო გამოცდების მიზნებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ავსებს ანკეტას 2020 წლის 15 თებერვლიდან 2020 წლის 25 თებერვლამდე, ხოლო სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ამ დებულების მე-10 მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას ამოწმებენ 2020 წლის 9 მარტამდე. ცენტრი, ამ დებულების

მე-10 მუხლის 4[1] პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას ანკეტაში ასახავს 2020 წლის 15 თებერვლამდე.

15. 2020 წლისა და 2021 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდა ჩატარდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანებით დამტკიცებული რეკომენდაციებით („ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდებისთვის“) განსაზღვრული წესების შესაბამისად.

16. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანებით დამტკიცებული რეკომენდაციების („ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდებისთვის“) დარღვევის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატს მიეცემა შენიშვნა და მიეთითება წესების დაცვის აუცილებლობაზე. აღნიშნული მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი მოიხსნება გამოცდიდან.

17. 2021 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის მიზნებისათვის:

ა) ის მაგისტრანტობის კანდიდატები, რომელთაც გამოცდის დღისათვის დადასტურებული ექნებათ COVID-19-ის ინფექცია, გამოცდაზე არ დაიშვებიან;

ბ) ცენტრი უფლებამოსილია, მაგისტრანტობის კანდიდატებს დამატებით ჩაუტაროს ტესტირება საერთო სამაგისტრო გამოცდის იმ ნაწილში/ნაწილებში, რომელსაც ისინი ვერ დაესწრნენ COVID-19-ის ინფექციის დადასტურების გამო;

გ) ცენტრი ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა შესახებ ეყრდნობა სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რისთვისაც ცენტრი უფლებამოსილია ელექტრონულად, დაცული დოკუმენტის სახით გამოცდის წინა დღეს მიაწოდოს მაგისტრანტობის კანდიდატთა თაობაზე ინფორმაცია (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს. საგამოცდო პერიოდში ცენტრი უფლებამოსილია დაცული ფორმით ყოველდღიურად მიიღოს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისაგან ინფორმაცია, რომელ მაგისტრანტობის კანდიდატს დაუდასტურდა COVID-19-ის ინფექცია საერთო სამაგისტრო გამოცდამდე 14 დღის განმავლობაში;

დ) ცენტრი უზრუნველყოფს იმ მაგისტრანტობის კანდიდატის მონაწილეობას დამატებით გამოცდაზე, რომლებიც ვერ შეძლებენ საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათში მითითებულ დროს გამოცდაზე გამოცხადებას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში სულ მცირე ერთი დღე-ღამით ყოფნის ან ოჯახის წევრის (მეუღლე, დედა, მამა, და-ძმა, შვილი) გარდაცვალების გამო;

ე) ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებულმა პირებმა სტაციონარულ დაწესებულებაში ყოფნის ან ოჯახის წევრის გარდაცვალების და ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი ცენტრში უნდა წარმოადგინონ შესაბამისი საგამოცდო სესიის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

ვ) ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები შესაბამის გამოცდაზე დაიშვებიან მხოლოდ ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, იმ შემთხვევაში, თუ გამოცდა ტარდება რამდენიმე დღეს/რამდენიმე სესიად და ამ პირთა დაშვება ტექნიკურად შესაძლებელია;

ზ) თუ მაგისტრანტობის კანდიდატს ამ პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებში მითითებული გარემოებების დადგომამდე ჩაბარებული აქვს საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის მხოლოდ ნაწილი, ცენტრი უზრუნველყოფს მისთვის მხოლოდ საერთო სამაგისტრო გამოცდის დარჩენილი ნაწილის/ნაწილების ჩატარებას;

თ) დამატებითი გამოცდისას გამოყენებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტში მიღებული ქულები არ გათანაბრდება.

ი) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიღებული ინფორმაცია მაგისტრანტობის კანდიდატისათვის COVID-19-ის ინფექციის დადასტურების თაობაზე ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომლებისათვის და დაცული ფორმით ეცნობება მხოლოდ იმ საგამოცდო ცენტრის შესაბამის თანამშრომელს, სადაც მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას.

კ) ამ პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად ცენტრის მიერ მიღებული მონაცემები ცენტრში ინახება ერთი წლის ვადით, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება.

18. 2021 წელს სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, დგება რექტორის ერთიანი აქტი. რექტორის ერთიან აქტში მითითებულია მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება 2021 წლის 11 ოქტომბრამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ ამ დებულების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური ელექტრონული პროგრამის წარმოების წესის შესაბამისად.

19. 2022 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის მიზნებისათვის:

ა) სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია, მაგისტრანტობის კანდიდატებს დამატებით ჩაუტაროს ტესტირება საერთო სამაგისტრო გამოცდის იმ ნაწილში/ნაწილებში, რომელსაც ისინი ვერ დაესწრნენ საგამოცდო დღეს ან საგამოცდო დღემდე 7 დღის განმავლობაში COVID-19-ის ინფექციის დადასტურების გამო;

ბ) სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა შესახებ ეყრდნობა სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რისთვისაც სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია ელექტრონულად, დაცული დოკუმენტის სახით სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს მიაწოდოს ინფორმაცია (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, გამოცდის თარიღი და დრო) იმ მაგისტრანტობის კანდიდატთა თაობაზე, რომლებიც არ გამოცხადდნენ შესაბამის გამოცდაზე. საგამოცდო პერიოდში სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია დაცული ფორმით მიიღოს სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისაგან ინფორმაცია, რომელ მაგისტრანტობის კანდიდატს დაუდასტურდა COVID-19-ის ინფექცია საერთო სამაგისტრო გამოცდამდე 7 დღის განმავლობაში. სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს შორის ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება სსიპ – ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს ინფრასტრუქტურის მეშვეობით;

გ) სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს იმ მაგისტრანტობის კანდიდატის მონაწილეობას დამატებით გამოცდაზე, რომლებიც ვერ შეძლებენ საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათში მითითებულ დროს გამოცდაზე გამოცხადებას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, სულ მცირე, ერთი დღე-ღამით ყოფნის ან ოჯახის წევრის (მეუღლე, დედა, მამა, და-ძმა, შვილი) გარდაცვალების გამო;

დ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებულმა პირებმა სტაციონარულ დაწესებულებაში ყოფნის ან ოჯახის წევრის გარდაცვალების და ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტები სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში უნდა წარმოადგინონ შესაბამისი საგამოცდო სესიის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;

ე) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები შესაბამის გამოცდაზე დაიშვებიან მხოლოდ ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, იმ შემთხვევაში, თუ გამოცდა ტარდება რამდენიმე დღეს/რამდენიმე სესიად და ამ პირთა დაშვება ტექნიკურად შესაძლებელია;

ვ) თუ მაგისტრანტობის კანდიდატს ამ პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული გარემოებების დადგომამდე ჩაბარებული აქვს საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის მხოლოდ ნაწილი, სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს მისთვის მხოლოდ საერთო სამაგისტრო გამოცდის დარჩენილი ნაწილის/ნაწილების ჩატარებას;

ზ) დამატებითი გამოცდისას გამოყენებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტში მიღებული ქულები არ გათანაბრდება;

თ) ამ პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიღებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომლებისათვის.

ი) ამ პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული მონაცემები სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ინახება ერთი წლის ვადით, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი , 24.02.2011 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 6 იანვრის ბრძანება №01/ნ - ვებგვერდი , 08.01.2013 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 9 ოქტომბრის ბრძანება №135/ნ - ვებგვერდი , 09.10.2014 წ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №152/ნ - ვებგვერდი , 26.11.2015 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 31 მაისის ბრძანება №53/ნ - ვებგვერდი , 31.05.2016 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 29 იანვრის ბრძანება №04/ნ - ვებგვერდი, 29.01.2018წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 ივლისის ბრძანება №157/ნ - ვებგვერდი, 01.08.2019წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 2 ივლისის ბრძანება №74/ნ - ვებგვერდი, 02.07.2020წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 28 ივნისის ბრძანება №38/ნ - ვებგვერდი , 29.06.2021 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №86/ნ - ვებგვერდი, 01.10.2021წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 1 ივლისის ბრძანება №80/ნ - ვებგვერდი, 01.07.2022 წ.

დანართი №2

სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესი

მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

ეს წესი არეგულირებს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის (შემდგომში – გრანტის) განაწილების წესსა და პირობებს.

მუხლი 2. გრანტის მოპოვების საფუძველი

1. მაგისტრანტობის კანდიდატი გრანტს მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგად მიღებული აბსოლუტური ქულის საფუძველზე.

2. მაგისტრანტობის კანდიდატი გრანტს მოიპოვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავს ამ ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების (დანართი №1) მე-5 მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტებით დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვრებს .

3. მაგისტრანტობის კანდიდატის აბსოლუტური ქულა გამოითვლება შემდეგი წესის დაცვით:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეულ ნაწილში მიღებული გათანაბრებული ქულა იყოფა საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის თითოეული ნაწილის მაქსიმალურ ქულაზე და ტესტის თითოეული ნაწილისთვის მიიღება ნორმირებული ქულა;

ბ) მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმირებული ქულები ჯამდება და მიიღება მაგისტრანტობის კანდიდატის აბსოლუტური ქულა.

3[1]. მაგისტრანტობის კანდიდატების აბსოლუტური ქულების მთელ რიცხვამდე დაყვანის მიზნით აბსოლუტური ქულები საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) მიერ მრავლდება ერთსა და იმავე რიცხვზე.

4. საერთო სამაგისტრო გამოცდის საფუძველზე ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის რანჟირება აბსოლუტური ქულით თითოეული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებისა და პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების მიხედვით.

5. გრანტს ვერ მოიპოვებს ის პირი :

ა) რომელსაც ის ერთხელ უკვე მოპოვებული აქვს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ბ) რომელმაც მოიპოვა შესაბამისი ქულა საერთო სამაგისტრო გამოცდაში, მაგრამ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომლის მაგისტრატურაში ჩაირიცხა პირი, ამ ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების (დანართი №1) 32-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტი ცენტრის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში (შემდგომში – სპეციალური ელექტრონული პროგრამა) არ ასახა ან ასახა ამ ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების (დანართი №1) 32-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ.

გ) რომელმაც მოიპოვა შესაბამისი ქულა საერთო სამაგისტრო გამოცდაში, მაგრამ ვერ ჩაირიცხა შესაბამის წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში.

დ) რომელმაც მოიპოვა შესაბამისი ქულა საერთო სამაგისტრო გამოცდაში, მაგრამ სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდა ამ ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების (დანართი №1) 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №962 - სსმ III, 04.11.2009, სსმ №136, მუხ .1560
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ნ - ვებგვერდი , 24.02 .2011 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის ბრძანება №23/ნ - ვებგვერდი , 03.02.2012 წ .
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ნ - ვებგვერდი , 29.03.2013 წ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ნ - ვებგვერდი , 12.11.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 29 იანვრის ბრძანება №04/ნ - ვებგვერდი, 29.01.2018წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020 წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №87/ნ - ვებგვერდი, 05.08.2020 წ.

მუხლი 3. (ამოღებულია)
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №962 - სსმ III, 04.11.2009, სსმ №136 , მუხ .1560
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ ნ - ვებგვერდი , 29.03.2013 წ .

მუხლი 4. საერთო სამაგისტრო გამოცდის რანჟირება აბსოლუტური ქულით თითოეული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებისა ან/და პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების მიხედვით

1. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისა ან/და პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების მიხედვით გრანტს მოიპოვებენ ის მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებსაც საერთო სამაგისტრო გამოცდაში მოპოვებული აბსოლუტური ქულებისა და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების გათვალისწინებით რანჟირებულ მაგისტრანტობის კანდიდატთა სიებში, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებისთვის გამოყოფილი გრანტის დაფინანსების წლიური მოცულობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებელის ფარგლებში უმაღლესი ქულები ექნებათ .

2. საერთო სამაგისტრო გამოცდის რანჟირებას აბსოლუტური ქულით, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისა ან/და პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების მიხედვით, ახორციელებს ცენტრი.

მუხლი 5. აბსოლუტური რანჟირების დოკუმენტი

1. აბსოლუტური რანჟირების დოკუმენტი ცენტრის მიერ შემუშავდება ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელში გაერთიანებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ამ ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების (დ ანართი №1) 32-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტის საფუძველზე.

2. (ამოღებულია - 28.03.2013, №44/ნ)

2^1. თუ მაგისტრანტს ჩაბარებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/ დაწესებულებების ორ ან რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, მისი დაფინანსება ხორციელდება აბსოლუტური ქულით რანჟირების საფუძველზე მის მიერ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებს შორის განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად.

2^2. მაგისტრანტი ამ მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტის დადგენის მიზნით, შესაბამისი წლის 10 ოქტომბრამდე ცენტრში წარადგენს განცხადებას, რომელშიც უთითებს საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების ჩამონათვალს პრიორიტეტების შესაბამისად.

2^3. თუ მაგისტრანტი ვერ მოიპოვებს გრანტს მის მიერ ამ მუხლის 2^2 პუნქტით გათვლისწინებულ განცხადებაში მითითებულ პირველ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე , მაშინ მისი დაფინანსების საკითხი განიხილება განცხადებაში მითითებულ მეორე საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე და ა.შ. მაგისტრანტის მიერ განცხადებაში მითითებულ რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე გრანტის მოპოვების შემთხვევაში, განცხადებაში მითითებულ მომდევნო საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე მისი დაფინანსების საკითხი არ განიხილება .

2^4. ცენტრში ამ მუხლის 2^2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მაგისტრანტის მიერ ამავე პუნქტით გათვალისწინებული განცხადების წარუდგენლობისას, მისი დაფინანსების საკითხის გადაწყვეტისთვის, აბსოლუტური ქულით რანჟირება პირველ რიგში ხორციელდება იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელზეც შესაბამის წელს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში მეტი თანხა განაწილდა. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის წელს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში თანაბარი თანხა განაწილდა, მაშინ აბსოლუტური ქულით რანჟირება პირველ რიგში განხორციელდება ცენტრის მიერ განსაზღვრულ პროგრამულ მიმართულებაზე.

2^5. მაგისტრანტი, რომელიც შესაბამის წელს ჩაირიცხება ორი ან რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთსა და იმავე საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, ვალდებულია შესაბამისი წლის 10 ოქტომბრამდე ცენტრში წარადგინოს განცხადება, თუ რომელ

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სურს მიიღოს გრანტი.

2^6. ცენტრში ამ მუხლის 2^5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში პირის მიერ ამავე პუნქტით გათვალისწინებული განცხადების წარუდგენლობისას მაგიტრანტობის კანდიდატი გრანტს მოიპოვებს ცენტრის მიერ განსაზღვრულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში .

3. ცენტრის მიერ მაგისტრანტობის კანდიდატთა აბსოლუტური რანჟირების დოკუმენტში არ შეიყვანება:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქე;

ბ) პირი, რომელმაც მოიპოვა შესაბამისი ქულა საერთო სამაგისტრო გამოცდაში, მაგრამ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომლის მაგისტრატურაში ჩაირიცხა პირი, ამ ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების (დანართი №1) 32-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტი სპეციალურ ელექტრონული პროგრამაში არ ასახა ან ასახა ამ ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების (დანართი №1) 32-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ.

გ) პირი, რომელმაც მოიპოვა შესაბამისი ქულა საერთო სამაგისტრო გამოცდაში, მაგრამ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომლის მაგისტრატურაში ჩაირიცხა პირი, ამ ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების (დანართი №1) 32-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის ერთიანი აქტი ცენტრს არ მიაწოდა ან მიაწოდა ამ ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების (დანართი №1) 32-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ;

დ) პირი, რომელმაც მოიპოვა შესაბამისი ქულა საერთო სამაგისტრო გამოცდაში, მაგრამ სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდა ამ ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების (დანართი №1) 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევით;

ე) პირი, რომელიც სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდა ამ ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების (დანართი №1) 31-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით.

3^1. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური რანჟირების დოკუმენტის შემუშავების დროს ცენტრი ეყრდნობა:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა) მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში, მოთხოვნილი ფორმით შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს აწვდის მაგისტრანტობის კანდიდატების თაობაზე ინფორმაციას, კერძოდ, მოპოვებული ან/და გამოყენებული ჰქონდა თუ არა მაგისტრანტობის კანდიდატს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი.

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების სტატუსის თაობაზე ინფორმაციას, რომელსაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა სამაგისტრო გამოცდის ჩატარების წლის 25 სექტემბრამდე ასახავს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში.

4. ამ მუხლის 2^2 და 2^5 პუნქტებით წარმოდგენილი დოკუმენტების შემდეგ ცენტრი 10 დღის ვადაში ადგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ აბსოლუტური რანჟირების დოკუმენტებს.

5. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი 5 დღის ვადაში ამტკიცებს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ აბსოლუტური რანჟირების დოკუმენტებს.

6. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტით დამტკიცებული სიების ატვირთვას სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №962 - სსმ III, 04.11.2009, სსმ №136, მუხ .1560

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №26/ ნ - ვებგვერდი , 24.02. 2011 წ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის ბრძანება №23/ ნ - ვებგვერდი , 03.02.2012 წ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 მარტის ბრძანება №44/ ნ - ვებგვერდი , 29.03.2013 წ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება №172/ ნ - ვებგვერდი , 12.11.2013 წ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 აპრილის ბრძანება №35/ ნ - ვებგვერდი , 15.04.2015 წ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №152/ ნ - ვებგვერდი , 26.11.2015 წ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება №51/ ნ - ვებგვერდი , 31.05.2016 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 29 იანვრის ბრძანება №04/ნ - ვებგვერდი, 29.01.2018წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 მაისის ბრძანება №79/ნ - ვებგვერდი, 01.06.2018წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 ივლისის ბრძანება №143/ნ - ვებგვერდი, 15.07.2019წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 2 ნოემბრის ბრძანება №98/ნ - ვებგვერდი , 03.11.2023წ .

მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

1. 2014-2015 სასწავლო წლისთვის:

ა) მაგისტრანტი ამ წესის მე-5 მუხლის 21-ე პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტის დადგენის მიზნით, შესაბამისი წლის 20 ოქტომბრამდე ცენტრში წარადგენს განცხადებას, რომელშიც უთითებს საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების ჩამონათვალს პრიორიტეტების შესაბამისად.

ბ) თუ მაგისტრანტი ვერ მოიპოვებს გრანტს მის მიერ ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვლისწინებულ განცხადებაში მითითებულ პირველ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, მაშინ მისი დაფინანსების საკითხი განიხილება განცხადებაში მითითებულ მეორე საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე და ა.შ. მაგისტრანტის მიერ განცხადებაში მითითებულ რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე გრანტის მოპოვების შემთხვევაში, განცხადებაში მითითებულ მომდევნო საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე მისი დაფინანსების საკითხი არ განიხილება.

გ) ცენტრში ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში მაგისტრანტის მიერ ამავე პუნქტით გათვალისწინებული განცხადების წარუდგენლობისას, მისი დაფინანსების საკითხის გადაწყვეტისთვის, აბსოლუტური ქულით რანჟირება პირველ რიგში ხორციელდება იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელზეც შესაბამის წელს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში მეტი თანხა განაწილდა. იმ შემთხვევაში , თუ შესაბამის წელს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში თანაბარი თანხა განაწილდა, მაშინ აბსოლუტური ქულით რანჟირება პირველ რიგში განხორციელდება ცენტრის მიერ განსაზღვრულ პროგრამულ მიმართულებაზე;

დ) მაგისტრანტი, რომელიც შესაბამის წელს ჩაირიცხება ორი ან რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთსა და იმავე საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, ვალდებულია შესაბამისი წლის 20 ოქტომბრამდე ცენტრში წარადგინოს განცხადება, თუ რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სურს მიიღოს გრანტი;

ე) ცენტრში ამ მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში პირის მიერ ამავე პუნქტით გათვალისწინებული განცხადების წარუდგენლობისას მაგიტრანტობის კანდიდატი გრანტს მოიპოვებს ცენტრის მიერ განსაზღვრულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ვ) ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური რანჟირების დოკუმენტების შემუშავების დროს ცენტრი ეყრდნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შესაბამისი წლის 20 ოქტომბრამდე წარუდგენს ცენტრს ინფორმაციას აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე;

ზ) ამ მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით წარმოდგენილი დოკუმენტების შემდეგ ცენტრი 10 დღის ვადაში ადგენს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ აბსოლუტური რანჟირების დოკუმენტებს და აგზავნის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დასამტკიცებლად.

2. 2021-2022 სასწავლო წლისთვის:

ა) მაგისტრანტი ამ წესის მე-5 მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტის დადგენის მიზნით, 2021 წლის 16 ოქტომბრამდე ცენტრში წარადგენს განცხადებას, რომელშიც უთითებს საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების ჩამონათვალს პრიორიტეტების შესაბამისად;

ბ) მაგისტრანტი, რომელიც ჩაირიცხება ორი ან რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთსა და იმავე საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, ვალდებულია 2021 წლის 16 ოქტომბრამდე ცენტრში წარადგინოს განცხადება, თუ რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სურს მიიღოს გრანტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 9 ოქტომბრის ბრძანება №135/ ნ - ვებგვერდი , 09.10.2014 წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №86/ნ - ვებგვერდი, 01.10.2021 წ.

დანართი №3

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 ივლისის ბრძანება №157/ნ - ვებგვერდი, 01.08.2019წ.

2019-2020 სასწავლო წელს საერთო სამაგისტრო გამოცდების მიზნებისთვის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის ცხრილი

მიმართულება	დარგი/სპეციალობა	ქვედარგი/სპეციალიზაცია

01 აგრარული მეცნიერებანი	0101 აგრონომია	010101 აგროეკოლოგია 010102 აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობა 010103 აგროტექნოლოგია 010104 აგრობიოტექნოლოგია 010105 მცენარეთა სელექცია-გენეტიკა 010106 მცენარეთა დაცვა 010107 ხილ-ბოსტნეულისა და ყურძნის მოყვანის ტექნოლოგია 010108 სამკურნალო მცენარეების მოყვანის ტექნოლოგია 010109 ორგანული სოფლის მეურნეობა 010110 მეაბრეშუმეობის ტექნოლოგია
	0102 ვეტერინარია	010201 დიპლომირებული ვეტერინარი (ერთსაფეხურიანი)
	0103 მეცხოველეობა	010301 მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის საქონელმცოდნეობა 010302 ცხოველთა და ფრინველთა მოშენება 010303 ცხოველთა და ფრინველთა კვება 010304 იქთიოლოგია 010305 მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება
	0104 სასურსათო ტექნოლოგია	010401 კვების პროდუქტების გადამუშავებისა და დაკონსერვების ტექნოლოგია 010402 სასმელების ტექნოლოგია (ალკოჰოლიანი, უალკოჰოლო) 010403 სურსათის უვნებლობა 010404 სამადუღრო წარმოების ბიოტექნოლოგია 010405 სუბტროპიკული კულტურების გადამუშავების ტექნოლოგია
	0105 სატყეო საქმე 0106 სატყეო მეცნიერება	010501 სატყეო მეურნეობა 010502 სატყეო ეკოლოგია 010503 სანადირე მეურნეობა 010504 ტყეთმოწყობა
მიმართულება	**დარგი/სპეციალობა**	**ქვედარგი/სპეციალიზაცია**
02 ბიზნესის ადმინისტრირება	0201 საბუღალტრო აღრიცხვა	020101 ფინანსური აღრიცხვა და კონტროლი 020102 აუდიტი 020103 საგადასახადო საქმე 020104 მმართველობითი აღრიცხვა და შიდა კონტროლი
	0202 მარკეტინგი	020201 საერთაშორისო მარკეტინგი 020202 მარკეტინგული კვლევა 020203 გაყიდვების მართვა 020204 რეკლამა და საზოგადოებასთან ურთიერთობა
	0203 მენეჯმენტი	020301 ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი 020302 ხელოვნების მენეჯმენტი 020303 ჯანდაცვის მენეჯმენტი 020304 ფარმაციის მენეჯმენტი 020305 აგრობიზნესის მენეჯმენტი 020306 განათლების მენეჯმენტი 020307 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი 020308 ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი 020309 სამთო საქმისა და გეოლოგიის მენეჯმენტი 020310 ტექნოლოგიების მენეჯმენტი 020311 ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის მენეჯმენტი 020312 მშენებლობის მენეჯმენტი 020313 ტრანსპორტის მენეჯმენტი 020314 ენერგეტიკის მენეჯმენტი 020315 მედიამენეჯმენტი 020316 ლოჯისტიკა და ექსპედირება 020317 უძრავი ქონების ადმინისტრირება 020318 ბიზნესკომუნიკაციის მენეჯმენტი 020319 ტელეკომუნიკაციის მენეჯმენტი 020320 ინოვაციების მენეჯმენტი 020321 საწარმოო და ოპერაციული მენეჯმენტი 020322 ადამიანური რესურსების მართვა 020323 მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი 020324 ქიმიური და კვების წარმოების მენეჯმენტი 020325 მეტალურგიული წარმოების მენეჯმენტი 020326 მცირე ბიზნესის მართვა 020327 პროექტების მენეჯმენტი 020328 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი

		020329 ბიოლოგიური რესურსების მენეჯმენტი 020330 სპორტის მენეჯმენტი 020331 კულტურის მენეჯმენტი 020332 ინფორმაციის მენეჯმენტი 020333 ოპერაციების მენეჯმენტი 020334 ტყის რესურსების მდგრადი მართვა 020335 - ჰოსპიტალური მენეჯმენტი
	0204 ფინანსები	020401 საბანკო საქმე 020402 კორპორაციული ფინანსები და მართვა 020403 პროექტების ფინანსური მართვა 020404 საერთაშორისო ფინანსები 020405 ინვესტიციები და ფინანსური პორტფელების მართვა 020406 ფინანსური ანალიზი და პროგნოზირება 020407 ფინანსური ინსტიტუტების მართვა 020408 რისკების მართვა 020409 სადაზღვევო საქმე
მიმართულება	**დარგი/სპეციალობა**	**ქვედარგი/სპეციალიზაცია**
03 განათლება	0301 განათლების მეცნიერებები	030101 განათლების ფილოსოფია 030102 განათლების სოციოლოგია 030103 განათლების პოლიტიკა 030104 ინტერკულტურული განათლება 030105 ზრდასრულთა განათლება 030106 ინკლუზიური განათლება 030107 განათლების კვლევები 030108 განათლების ადმინისტრირება 030109 სპეციალური განათლება
	0302 მასწავლებლის განათლება	030201 საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა 030202 დაწყებითი განათლების პედაგოგიკა
მიმართულება	**დარგი/სპეციალობა**	**ქვედარგი/სპეციალიზაცია**
04 ინჟინერია	0401 კომპიუტინგი/ ინფორმატიკა	040101 ინფორმაციული ტექნოლოგიები 040102 ინფორმაციული სისტემები 040104 კომპიუტერული მეცნიერება 040105 პროგრამული ინჟინერია 040106 ინტერდისციპლინური ინფორმატიკა 040107 გამოთვლითი მეცნიერებები
	0402 ტელეკომუნიკაცია	
	0403 ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები	040301 ავტომატიზაცია და მართვის სისტემები 040302 ბიოსამედიცინო ინჟინერია 040303 საზომი ტექნიკა, ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის ტექნოლოგიები
	0404 საინჟინრო ფიზიკა	040401 მიკროელექტრონიკა და ოპტოელექტრონიკა 040402 ფიზიკურ-ტექნიკური ექსპერტიზა 040403 მასალებისა და სტრუქტურების დიაგნოსტიკა 040404 ნანოტექნოლოგია
	0405 ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია	040501 თბოენერგეტიკა 040502 ჰიდროენერგეტიკა 040503 ელექტროენერგეტიკა 040504 ელექტროტექნიკა და სამრეწველო ელექტრონიკა 040505 ელექტრომექანიკა
	0406 მშენებლობა	040601 სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა 040602 სამდინარო ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა 040603 ჰიდროელექტრო სადგურების ჰიდროტექნიკური მშენებლობა 040604 საზღვაო ნაგებობების მშენებლობა 040605 მშენებლობის ტექნოლოგია 040606 საშენი მასალები 040607 გრუნტების მექანიკა და ფუძესაძირკვლები 040608 ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა 040609 რკინიგზის მშენებლობა 040610 საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა 040611 წყალმომარაგება და წყალარინება 040612 ნაგებობათა გამოცდა და ტექნიკური ექსპერტიზა 040613 კომპიუტერული პროექტირება მშენებლობაში 040614 თბოაირმომარაგება და ვენტილაცია 040615 აეროპორტების მშენებლობა და ექსპლუატაცია 040616 სამშენებლო მექანიკა და სეისმომედეგი მშენებლობა

		040617 გაზმომარაგების სისტემების მშენებლობა და ექსპლუატაცია
	0407 ტრანსპორტი	040701 საავტომობილო ტრანსპორტი 040702 სარკინიგზო ტრანსპორტი 040703 სპეციალური ტრანსპორტი 040704 სატრანსპორტო ლოჯისტიკა
	0408 მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია	040801 სამანქანათმშენებლო წარმოების ტექნოლოგია 040802 მანქანათა მექანიკა, ტექნოლოგიური მანქანები და ავტომატიზებული კომპლექსები 040803 მექატრონიკა 040804 საფრენი აპარატების კონსტრუირება და წარმოება 040805 ავტომობილებისა და ტრაქტორების კონსტრუირება და წარმოება 040806 ამწე-სატრანსპორტო, სამშენებლო და საგზაო მანქანების კონსტრუირება და წარმოება
	0409 სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია	040901 საგამომცემლო-პოლიგრაფიული ტექნოლოგიები 040902 მერქნული მასალების დამზადებისა და დამუშავების ტექნიკა და ტექნოლოგიები 040903 კვების საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობები 040904 მსუბუქი მრეწველობის მანქანები, ნაკეთობათა კონსტრუირება და ტექნოლოგია 040905 სამაცივრო ტექნიკა და ტექნოლოგია
	0410 ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია	041001 ქიმიური ტექნოლოგია 041002 ბიოლოგიური ტექნოლოგია 041003 სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერია 041004 ნავთობისა და გაზის გადამუშავების ტექნოლოგია 041005 ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების ინჟინერია 041006 პარფიუმერიული და კოსმეტიკური პროდუქციის წარმოების ინჟინერია
	0411 მეტალურგია	041101 შავი და ფერადი ლითონების მეტალურგია
	0412 მასალათამცოდნეობა	041201 ლითონმცოდნეობა და ლითონთა დამუშავების ტექნოლოგიები 041202 არალითონური მასალები და ტექნოლოგიები 041203 კომპოზიციური მასალები და ტექნოლოგიები 041204 შედუღების ტექნოლოგიები 041205 ნანომასალები
	0413 გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება	041301 საინჟინრო ეკოლოგია 041302 წყლის ინჟინერია 041303 შრომის დაცვა და უსაფრთხოების ინჟინერია 041304 საგანგებო სიტუაციების მართვა
	0414 სამთო და გეოინჟინერია	041401 სამთო საქმე 041402 ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები 041403 საინჟინრო გეოლოგია 041404 საინჟინრო გეოდეზია და მარკშაიდერია
	0415 აგროინჟინერია	041501 სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია 041502 სოფლის მეურნეობის მექანიზაცია 041503 სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია
	0416 საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია	041601 საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაცია 041602 საჰაერო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაცია
	0417 საინჟინრო გეოდეზია და გეოინფორმატიკა	
	0418 კომპიუტერული ინჟინერია 0419 – საზღვაო ინჟინერია 0420 – საზღვაო ელექტროინჟინერია 0421 - სამოქალაქო ინჟინერია	
მიმართულება	დარგი/სპეციალობა	ქვედარგი/სპეციალიზაცია
05 მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	0501 მათემატიკა	050101 წმინდა მათემატიკა 050102 გამოყენებითი მათემატიკა
	0502 ფიზიკა	050201 თეორიული ფიზიკა 050202 ექსპერიმენტული ფიზიკა 050203 ასტრონომია 050204 ნანოფიზიკა 050205 რადიოფიზიკა 050206 მიკრო- და ნანოელექტრონიკა 050207 გამოყენებითი ელექტროდინამიკა 050208 არაწრფივი მოვლენების ფიზიკა 050209 ელემენტარული ნაწილაკების

		ფიზიკა 050210 ფუნდამენტური ფიზიკა 050211 გამოყენებითი ფიზიკა 050212 კონდენსირებელი გარემოს ფიზიკა 050213 ასტროფიზიკა 050214 ბირთვული ფიზიკა 050215 ატომის ფიზიკა 050216 მყარი სხეულების ფიზიკა 050218 პლაზმის ფიზიკა 050219 ოპტიკა 050220 რადიოტექნიკა და ელექტრონიკა 050221 ლაზერის ფიზიკა 050222 ჰიდროფიზიკა 050223 ტალღური პროცესების ფიზიკა 050224 სტატისტიკური ფიზიკა და თერმოდინამიკა
	0503 ქიმია	050301 არაორგანული ქიმია 050302 ორგანული ქიმია 050303 ფიზიკური და ანალიზური ქიმია 050304 პოლიმერული მასალები 050305 ქიმიური ექსპერტიზა 050306 მაკრომოლეკულების ქიმია 050307 ბიოორგანული ქიმია 050308 ბიოფიზიკური ქიმია
	0504 ბიოლოგია / სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი / გამოყენებითი ბიომეცნიერებები	050401 მორფოლოგია (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, ანატომია) 050402 ბიომრავალფეროვნება 050403 ევოლუციური ბიოლოგია 050404 ფიზიოლოგია (მცენარეთა, ადამიანისა და ცხოველთა) 050405 ზოოლოგია 050406 ბოტანიკა 050407 მიკრობიოლოგია 050408 ბიოტექნოლოგიები 050409 ნეირომეცნიერებები 050410 იმუნოლოგია 050411 მოლეკულური ბიოლოგია 050412 ვირუსოლოგია 050413 ბიოქიმია 050414 უჯრედული ბიოლოგია 050415 განვითარების ბიოლოგია 050416 გენეტიკა/გამოყენებითი გენეტიკა 050417 ჰიდრობიოლოგია 050418 ბიოლოგიური ექსპერტიზა 050419 ბიოგეოგრაფია 050420 ენტომოლოგია 050421 მოლეკულური ბიომეცნიერებები 050422 საკვები პროდუქტების მეცნიერება
	0505 გეოგრაფია	050501 ჰიდროლოგია 050502 მეტეოროლოგია 050503 ფიზიკური გეოგრაფია 050504 გეომორფოლოგია 050505 კარტოგრაფია 050506 გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების ტექნოლოგიები
	0506 გეოლოგია	050601 პეტროლოგია და ვულკანოლოგია 050602 მადანთა და საბადოების გეოლოგია 050603 პალეონტოლოგია 050604 სტრატიგრაფია 050605 რეგიონული გეოლოგია 050606 საძიებო გეოფიზიკა 050607 მინერალოგია
	0507 საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგთაშორისი, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით	050701 ბიოფიზიკა 050702 გეოფიზიკა 050703 ატმოსფერული მეცნიერებები
	0508 ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია	
მიმართულება	დარგი/სპეციალობა	ქვედარგი/სპეციალიზაცია
06 სამართალი	0601 სამართალმცოდნეობა	060101 სამართლის ისტორია და ფილოსოფია 060102 რომის სამართალი 060103 კანონიკური სამართალი
	0602 საერთაშორისო სამართალი	060201 ჰუმანიტარული სამართალი 060202 საზღვაო სამართალი 060203 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი 060204 საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი
	0603 კერძო/ბიზნესსამართალი	060301 სახელშეკრულებო სამართალი 060302 საბანკო სამართალი 060303 დაზღვევის სამართალი 060304 საკორპორაციო სამართალი 060305 ფასიანი ქაღალდების სამართალი 060306 შრომის სამართალი 060307 სამომხმარებლო სამართალი 060308 გაკოტრების სამართალი 060309 კონკურენციის სამართალი 060310 ინტელექტუალური საკუთრების

		სამართალი
	0604 სისხლის სამართალი	060401 კრიმინოლოგია 060402 საერთაშორისო სისხლის სამართალი
	0605 საჯარო სამართალი	060501 კონსტიტუციური სამართალი 060502 ადამიანის უფლებათა სამართალი 060503 ადმინისტრაციული სამართალი 060504 განათლების სამართალი 060505 საგადასახადო სამართალი 060506 ჯანდაცვის სამართალი 060507 მუნიციპალური სამართალი 060508 საპოლიციო რეგულირების სამართალი
მიმართულება	დარგი/სპეციალობა	ქვედარგი/სპეციალიზაცია
07 სოციალური მეცნიერებები	0701 ეკონომიკა	070101 ეკონომიკური პოლიტიკა 070102 მაკროეკონომიკა 070103 მიკროეკონომიკა 070104 საერთაშორისო ეკონომიკა 070105 ეკონომეტრიკა
	0702 პოლიტიკის მეცნიერება	070201 შედარებითი პოლიტიკა 070202 ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები 070203 კონფლიქტოლოგია 070204 უსაფრთხოების კვლევები 070205 საბჭოთა კვლევები
	0703 მასობრივი კომუნიკაცია/ ჟურნალისტიკა	070301 მედიის კვლევები 070302 საზოგადოებრივი ურთიერთობები
	0704 საზოგადოებრივი გეოგრაფია	
	0705 საერთაშორისო ურთიერთობები	070501 დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა
	0706 სოციოლოგია	070601 მედიაკომუნიკაციის სოციოლოგია 070602 სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები 070603 გენდერის კვლევები 070604 სოციალური და კულტურული კვლევები
	0707 ფსიქოლოგია	070701 შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია 070702 ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგია 070703 ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება 070704 განვითარების ფსიქოლოგია 070705 სოციალური ფსიქოლოგია 070706 პოლიტიკური ფსიქოლოგია 070707 კულტურის ფსიქოლოგია 070708 სპორტის ფსიქოლოგია 070709 კლინიკური ფსიქოლოგია 070710 ჯანმრთელობის ფსიქოლოგია 070711 პიროვნების ფსიქოლოგია 070712 განწყობის ფსიქოლოგია 070713 განათლების ფსიქოლოგია 070714 ფსიქომეტრია 070715 კლინიკური ნეიროფსიქოლოგია 070716 გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია
	0708 კულტურული მემკვიდრეობა	070801 მუზეუმმცოდნეობა 070802 ბიბლიოთეკათმცოდნეობა 070803 სიძველეთმცოდნეობა 070804 ხელნაწერთმცოდნეობა
	0709 დემოგრაფია	
მიმართულება	დარგი/სპეციალობა	ქვედარგი/სპეციალიზაცია
08 ხელოვნება	0801 აუდიოვიზუალური ხელოვნება	080101 ფოტოხელოვნება (ფოტოგრაფია) 080102 კინოხელოვნება (მხატვრული, დოკუმენტური, კლიპის რეჟისურა, ხმის რეჟისურა, ანიმაციური კინოს რეჟისურა, კინოსაოპერატორო ხელოვნება, კინომონტაჟის ხელოვნება) 080103 ტელეხელოვნება (ტელერეჟისურა, ტელესაოპერატორო ხელოვნება, ტელემონტაჟის ხელოვნება) 080104 დრამატურგია (ტელე-, კინო-, თეატრი) 080105 სადამდგმელო რეჟისურა 080106 საოპერატორო ხელოვნება 080107 ხმის რეჟისურა 080108 მხატვრული ფოტოგრაფია 080109 ქორეოგრაფია
	0802 მედიახელოვნება	080201 ციფრული მოდელირება და პროექტირება 080202 მულტიმედიადიზაინი 080203 ციფრული და მხატვრული ანიმაცია 080204 გრაფიკული დიზაინი 080205 ვიზუალური კომუნიკაცია 080206 მოძრავი გრაფიკა
	0803 დიზაინი	080301 მხატვრული კერამიკა 080302 მინის დიზაინი 080303 ტექსტილის დიზაინი

		080304 სამრეწველო დიზაინი 080305 ხის მხატვრული დამუშავება და ავეჯის დიზაინი 080306 სამოსის დიზაინი 080307 საიუველირო ნაკეთობათა დიზაინი
	0804 თეატრალური ხელოვნება	080401 რეჟისურა (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) 080402 მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება 080403 სასცენო მეტყველების კულტურა 080404 სცენოგრაფიის ხელოვნება
	0805 სამუსიკო ხელოვნება	080501 კომპოზიცია 080502 აკადემიური გუნდის დირიჟორობა 080503 საეკლესიო და ხალხური გუნდის დირიჟორობა 080504 სიმფონიური ორკესტრის დირიჟორობა 080505 საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები 080506 სოლო აკადემიური სიმღერა/ვოკალის ხელოვნება 080507 კლავიშებიანი საკრავები 080508 საორკესტრო სიმებიანი საკრავები 080509 მუსიკის თეორია
	0806 სახვითი ხელოვნება	080601 ფერწერა 080602 ქანდაკება 080603 გრაფიკა 080604 თეატრის მხატვრობა 080605 კინოტელემხატვრობა 080606 მონუმენტური მხატვრობა 080607 მულტიპლიკაცია 080608 ვიზუალური ხელოვნება
	0807 ქორეოგრაფიული ხელოვნება	
მიმართულება	დარგი/სპეციალობა	ქვედარგი/სპეციალიზაცია
09 ჯანდაცვა	0901 მედიცინა	090101 დიპლომირებული მედიკოსი (ერთსაფეხურიანი)
	0902 სტომატოლოგია	090201 დიპლომირებული სტომატოლოგი (ერთსაფეხურიანი)
	0903 ფარმაცია	090301 სამრეწველო ფარმაცია 090302 ფარმაცევტული ანალიზი 090303 ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია 090304 სავეტერინარო ფარმაცია 090305 ბიოფარმაცია 090306 კლინიკური ფარმაცია
	0904 საზოგადოებრივი ჯანდაცვა	090401 გარემოს მედიცინა 090402 ეპიდემიოლოგია 090403 სამედიცინო ეკოლოგია 090404 ჯანმრთელობის ხელშეწყობა 090405 საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა 090406 ნუტრიციოლოგია 090407 სოციალური ფსიქიატრია 090408 ფსიქოტრავმატოლოგია
	0905 საექთნო საქმე (ექთანი/ბებია ქალი)	
	0906 ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	090601 კარდიოპულმონური რაბილიტაცია 090602 პედიატრიული რეაბილიტაცია 090605 ტკივილის მედიცინა 090606 ჰოსპისი და პალიატიური მედიცინა 090607 სპორტული რეაბილიტაცია 090608 ფიზიკური თერაპია 090609 კინეზოთერაპია 090610 პოსტტრავმული რეაბილიტაცია 090611 რაიტთერაპია 090612 საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიათა რეაბილიტაცია 090613 - ნეირორეაბილიტაცია 090614 - ველნეს თერაპია
	0907 ოკუპაციური თერაპია	
მიმართულება	დარგი/სპეციალობა	ქვედარგი/სპეციალიზაცია
10 ჰუმანიტარული მეცნიერებანი	1002 ეთნოლოგია	
	1003 თეოლოგია	
	1004 ისტორია	100401 საქართველოს ისტორია 100402 მსოფლიო ისტორია 100403 ძველი მსოფლიოს ისტორია 100404 შუა საუკუნეების ისტორია 100405 ახალი და უახლესი ისტორია 100406 ძველი აღმოსავლეთის ისტორია 100407 ანტიკური სამყაროს ისტორია 100408 ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია 100409 ახლო აღმოსავლეთის ისტორია 100410 შორეული აღმოსავლეთის ისტორია 100411 ქრისტიანობის ისტორია

	1005 ფილოლოგია, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით	100501 ქართული ფილოლოგია 100502 ინგლისური ფილოლოგია 100503 გერმანული ფილოლოგია 100504 ფრანგული ფილოლოგია 100505 ესპანური ფილოლოგია 100506 იტალიური ფილოლოგია 100507 რუსული ფილოლოგია 100508 სკანდინავიური ფილოლოგია 100509 კლასიკური ფილოლოგია 100510 ბიზანტიური ფილოლოგია 100511 ახალი ბერძნული ფილოლოგია 100512 ებრაულ-არამეული ფილოლოგია 100513 არაბული ფილოლოგია 100514 თურქული ფილოლოგია 100515 სპარსული ფილოლოგი 100516 ლინგვისტიკა 100517 შედარებითი ენათმეცნიერება 100518 ქართველური ენათმეცნიერება 100519 ლექსიკოგრაფია 100520 ლიტერატურის თეორია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევები 100521 თარგმანმცოდნეობა 100522 ქართული ლიტერატურის ისტორია 100523 აფხაზური ფილოლოგია 100524 რომანული ფილოლოგია 100525 სომხური ფილოლოგია
	1006 ფილოსოფია	100601 კულტურის ფილოსოფია 100602 პოლიტიკის ფილოსოფია 100603 რელიგიის ფილოსოფია 100604 მეტაფიზიკა და ეპისტემოლოგია 100605 ფილოსოფიური ანთროპოლოგია 100606 ენის ფილოსოფია 100607 მეცნიერების ფილოსოფია 100608 ლოგიკა 100609 ესთეტიკა 100610 ზნეობის ფილოსოფია და გამოყენებითი ეთიკა 100611 ფილოსოფიის ისტორია
	1007 ხელოვნებათმცოდნეობა/ხელოვნების ისტორია და თეორია	100701 თეატრმცოდნეობა 100702 კინომცოდნეობა 100703 ქორეოლოგია 100704 მუსიკოლოგია 100705 ეთნომუსიკოლოგია 100706 საეკლესიო მუსიკოლოგია 100707 არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების ისტორია და თეორია
მიმართულება	დარგი/სპეციალობა	ქვედარგი/სპეციალიზაცია
11 მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	1101 არქიტექტურა	110101 შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა და ურბანული დაგეგმარება 110102 ინტერიერის დიზაინი 110103 ლანდშაფტური არქიტექტურა 110104 გარემოს დიზაინი 110105 არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინი
	1102 ეკოლოგია/გარემოსმცოდნეობა	110201 გამოყენებითი ეკოლოგია 110202 კონსერვაციული ბიოლოგია 110203 გარემოს დაცვა 110204 ბუნებათსარგებლობა 110205 ბუნებათმოწყობა 110206 საზღვაო კვლევები
	1103 კულტურის კვლევები	110301 შუა საუკუნეების კვლევები
	1104 რეგიონმცოდნეობა, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით	110401 აღმოსავლეთმცოდნეობა 110402 ამერიკისმცოდნეობა 110403 ასირიოლოგია 110404 ბრიტანეთისმცოდნეობა 110405 ევროპისმცოდნეობა 110406 კავკასიური კვლევები/კავკასიოლოგია 110407 აღმოსავლეთ ევროპის კვლევები 110408 უკრაინისმცოდნეობა 110409 სლავისტიკა 110410 ირანისტიკა 110411 არაბისტიკა 110412 თურქოლოგია 110413 პოლონისტიკა 110414 რუსეთისმცოდნეობა 110415 ქართველოლოგია (უცხოენოვანი პროგრამა: Georgian studies/Kartvelian studies) 110416 არმენოლოგია 110417 სკანდინავისტიკა 110418 იაპონისტიკა 110419 სინოლოგია 110420 ებრაისტიკა-არამეისტიკა 110421 საქართველოსმცოდნეობა 110422 ანგლისტიკა

		110423 გერმანისტიკა 110424 ესპანისტიკა 110425 იტალიისმცოდნეობა 110426 საფრანგეთისმცოდნეობა 110427 თურქეთისმცოდნეობა
	1105 ანთროპოლოგია	110501 განათლების ანთროპოლოგია 110502 პოლიტიკის ანთროპოლოგია 110503 კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია 110504 ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია
	1106 რესტავრაცია/კონსერვაცია	110601 არქიტექტურულ ობიექტთა რესტავრაცია 110602 სახვითი ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია 110603 მცირე ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია
	1107 სოციალური მუშაობა	
	1108 თავისუფალი მეცნიერებები	
	1109 საჯარო მმართველობა	110901 ორგანიზაციის განვითარება 110902 მიგრაციის კვლევები
	1110 საზღვაოსნო მეცნიერება	111001 საზღვაო ოპერაციები 111002 საზღვაო ტექნოლოგიები
	1111 გენდერი	
	1112 სპორტი	111201 - სპორტის ფიზიოლოგია
	1113 თავდაცვა და უსაფრთხოება	111301 თავდაცვის ანალიზი 111302 კიბერუსაფრთხოება 111303 თავდაცვის რესურსების მართვა 111304 ევროპის უსაფრთხოების კვლევები
	1114 სამხედრო მეცნიერება, შესაბამისი ქვედარგის/სპეციალიზაციის დაკონკრეტებით	111401 სამხედრო კავშირგაბმულობა 111402 სამხედრო ლოგისტიკა 111403 საჰაერო თავდაცვის შეიარაღება და ტექნიკა 111404 საარტილერიო საქმე 111405 სამხედრო ავიაცია 111406 სამხედრო ინჟინერია 111407 საერთო-საჯარისო მართვა 111408 ჯავშან-სატანკო შეიარაღება და ტექნიკა
	1115 არქეოლოგია	
	1116 პალეობიოლოგია / პალეოანთროპოლოგია	
	1117 სტატისტიკა	
	1118 მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო მეცნიერება , ქვედარგის / სპეციალიზაციის დაკონკრეტებით	111801 საეკლესიო არქიტექტურა (ხუროთმოძღვრება) 111802 ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობა 111803 ხატწერა 111804 დაზგური ხატწერის რესტავრაცია 111805 მონუმენტური ხატწერის რესტავრაცია 111806 საეკლესიო მუსიკა 111807 საეკლესიო მუსიკათმცოდნეობა 111808 ქრისტიანული ფსიქოლოგია 111809 ქრისტიანული ფილოსოფია
	1119 ადიქციის კვლევები (ადიქტოლოგია)	
	1120 ტურიზმი	112001 ბუნების ტურიზმი და დაცული ტერიტორიები; 112002 ეკოლოგიური ტურიზმი; 112003 კულტურული ტურიზმი; 112004 სამკურნალო ტურიზმი და საკურორტო საქმიანობა; 112005 რეკრეაციული ტურიზმი; 112006 აგროტურიზმი.
	1121 ჯანმრთელობის მეცნიერებები	112101 ენისა და მეტყველების თერაპია
	1122 - ურბანისტიკა	
	1123 - რელიგიის კვლევები	
	1124 - ციფრული ჰუმანიტარია	